



კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

მამია რაზმაძე

სამაგისტრო ნაშრომი

პრეზიდენტის ლეგიტიმაციის საკითხი საქარლამენტო
რესპუბლიკაში

ML1701PL - მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ბეჟა ქანთარია
ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი

თბილისი

2019

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომში საკითხის დამუშავებით ვეცადე მესაუბრა თუ როგორია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა პრეზიდენტის ინსტიტუტთან მიმართებაში დღეისათვის და ასევე განმეხილა საკითხი იმის შესახებ თუ როგორია პრეზიდენტის ინსტიტუტის როლი ევროპულ საპარლამენტო რესპუბლიკებში, გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენს სახელმწიფოს გეზი ევროპული ოჯახისკენ უჭირავს მართებულად ჩავთვალე გამეყო პარალელი ჩვენი სახელმწიფოსა და ევროპული სახელმწიფოების კანონმდებლობებზე.

აღნიშნულ საკითხზე ნამდვილად არ შეიძლება ითქვას, რომ ყოველ მხრივ დასრულებული სახითაა წარმოჩენილი, თუმცა ძირითადი და ფუნდამენტალური საკითხები თავისი მნიშვნელობის გათვალისწინებით, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში, საკმაოდ ვრცლადაა წარმოჩენილი. ამასთანავე ნაშრომზე მუშაობისას აღმოვაჩინე, რომ ლიტერატურა, რომელიც დამეხმარებოდა ნაშრომის შედგენაში საკმაოდ მწირი სახით იყო, ვინაიდან საკითხი საკმაოდ ახალია და ნაკლებად აქვთ მკვლევარებს კვლევები ნაკვლევი.

ნაშრომი შედგება ორი ძირითადი თავისაგან. ორივე თავში ჩაშლილია ქვეთავები, სადაც კონკრეტულად სათაურებად არის განხილული მოცემული საკითხი. საკითხზე მსჯელობა იწყება მისი არსით, შემდეგ საუბარია მის ისტორიაზე და ბოლოს საუბარი მაქვს იმაზე, თუ როგორია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა პრეზიდენტის ინსტიტუტთან მიმართებაში.

ნაშრომის მეორე თავი დათმობილი აქვს იმ ევროპული სახელმწიფოების მოქმედ კანონმდებლობებს, სადაც პრეზიდენტს გააჩნია ფორმალური ფუნქცია. ასეთებია: გერმანია, იტალია, ჩეხეთი, ლატვია, სერბეთი, სლოვაკეთი, ირლანდია, ესტონეთი უნგრეთი და ხორვატია. სწორედ აღნიშნული ქვეყნების კანონმდებლობიდან გამომდინარე შეგვიძლია გავავლოთ პარალელი ჩვენ კანონმდებლობასა და მოცემული ქვეყნების კანონმდებლობებს შორის.

დასკვნის სახით მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელი გახდება პრეზიდენტის საკითხთან მიმართებაში არსებული პრობლემების გადაწყვეტა, ევროპული სახელმწიფოების მოქმედი კანონმდებლობისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შედარებითი ანალიზის საფუძველზე.

President's legitimation in the parliamentary republic

Annotation

Master's thesis in the process I tried to talk about the Georgia, what kind of current legislation the President of the Institute with respect to the date, and also discuss the issue of how the President of the Institute's role in the European parliamentary republics, given the fact that our state's path to the European family, and feels rightly thought it Our walk in a parallel state and the laws of the European countries.

It can not be said of the fact that on each side it is presented, but the fundamental and fundamental issues are of great significance, as far as possible it is possible to be presented within the framework of the desk. At the same time, I discovered that literature, which helped me in the paperwork was quite scarce, because the issue is quite new and less researchers have researched.

The work consists of two main chapters. In both chapters are subdivisions where the issue is discussed as a header. Discussion on the matter starts with its essence, then we talk about his history and finally I have to talk about what the Georgian legislation is in relation to the president's institution.

The second chapter of the work is presented in the laws of the European states where the President has a formal function. Such as Germany, Italy, Czech Republic, Latvia, Serbia, Slovakia, Ireland, Estonia Hungary and etc. Based on the legislation of those countries, we can draw parallels between our legislation and legislation of those countries.

Based on the information obtained from the conclusion, it will be possible to solve the problems of the President on the basis of the applicable legislation of the European States and the comparative analysis of the Georgian legislation.

სარჩევი

შესავალი	6
თავი I. პრეზიდენტის როლი საპარლამენტო რესპუბლიკაში	10
1.1. პრეზიდენტის ლეგიტიმაციის არსი საპარლამენტო რესპუბლიკაში.....	10
1.2. პრეზიდენტის ლეგიტიმაციის ისტორია საქართველოში	16
1.3. პრეზიდენტის ლეგიტიმაციის საკითხი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით	21
თავი II. პრეზიდენტის ლეგიტიმაციის საკითხი ევროპულ სახელმწიფოებში	27
2.1 პრეზიდენტის ინსტიტუტის აღმოცენება და ისტორიული განვითარება ევროპაში.....	27
2.2. პრეზიდენტის ლეგიტიმაციის საკითხი ევროპის წამყვან სახელმწიფოებში	29
2.2.1. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკა	29
2.2.2. იტალიის რესპუბლიკა.....	33
2.2.3. ლატვიის რესპუბლიკა	37
2.2.4. ჩეხეთის რესპუბლიკა.....	41
2.2.5. სერბეთის რესპუბლიკა	45
2.2.6. სლოვაკეთის რესპუბლიკა.....	48
2.2.7. ირლანდიის რესპუბლიკა.....	53
2.2.8. ესტონეთის რესპუბლიკა	55
2.2.9. უნგრეთის რესპუბლიკა.....	57
2.2.10. ხორვატიის რესპუბლიკა	59
2.2.11. პრეზიდენტის ინსტიტუტი ევროპულ სახელმწიფოებში: შედარებითი ანალიზი.....	62
დასკვნა	63
გამოყენებული ლიტერატურა:	67

შესავალი

საქართველოს დღესმოქმედ 1995 წლის კონსტიტუციაში დაახლოებით 35-ჯერ შევიდა ცვლილება. იქნებოდა ეს მცირე თუ ფართო მასშტაბიანი ცვლილებები. ბოლო ცვლილება განხორციელდა 2018 წლის 23 მარტს, რომლის დროსაც ფუნდამენტურად შეიცვალა კონსტიტუციის მეოთხე თავით დარეგულირებული საქართველოს პრეზიდენტის უფლება-მოვალეობები და მისი არჩევის წესი.

სულ ახალი 2018 წლის 23 მარტის ცვლილებების თანახმად პრეზიდენტს ეძლევა შესაძლებლობა მხოლოდ მთავრობის თანხმობით ან წარდგინებით: განახორციელოს საგარეო ურთიერთობები, მოლაპარაკებები აწარმოოს სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დადოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და მიიღოს სხვა სახელმწიფოების ელჩები. ამასთანავე საქართველოს პრეზიდენტის სასამართლო სისტემასთან ურთიერთობა 9 მოსამართლისგან შემდგარი საკონსტიტუციო სასამართლოს სამი წევრის და იუსტიციის საბჭოს 14 წევრიდან ერთის დანიშვნის უფლებით შემოფარგლება. რაც შეეხება არჩევის წესს, აქ საქმე სრულიად ფუნდამენტალურ ცვლილებასთან გვაქვს. საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 40 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 15 წელს მაინც. ხოლო საარჩევნო კოლეგიის შემადგენლობაში შედის 300 წევრი, მათ შორის საქართველოს პარლამენტის და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების ყველა წევრი. საარჩევნო კოლეგიის სხვა წევრებს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ორგანული კანონის საფუძველზე განსაზღვრული კვოტების შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების შემადგენლობიდან ასახელებენ შესაბამისი პოლიტიკური პარტიები. კვოტები განისაზღვრება პროპორციული გეოგრაფიული წარმომადგენლობის პრინციპის დაცვითა და ადგილობრივი თვითმმართველობის პროპორციული წესით ჩატარებული არჩევნების შედეგების პროპორციის მიხედვით. საარჩევნო

კოლეგიის შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ კონსტიტუციის 53-ე მუხლი შევიდა სახელწოდებით „თანახელმოწერა“ სადაც განისაზღვრა, რომ საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტი საჭიროებს პრემიერ-მინისტრის თანახელმოწერას. სამართლებრივი აქტი, რომელიც საჭიროებს თანახელმოწერას, ქვეყნდება და სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს მხოლოდ თანახელმოწერის შემდეგ. თანახელმოწერილ სამართლებრივ აქტზე პოლიტიკური პასუხისმგებლობა ეკისრება მთავრობას.

უფრო კონკრეტულად, რომ განვიხილოთ ნაშრომში შევადარებ ჩვენს კანონმდებლობას პრეზიდენტის ინსტიტუტთან მიმართებაში სხვა ევროპული სახემწიფოების კანონმდებლობებს. ამასთანავე ვისაუბრებ, თუ როგორია პრეზიდენტის არჩევის წესი საქართველოში და როგორია პრეზიდენტის არჩევის წესი ევროპულ საპარლამენტო რესპუბლიკებში.

თემა საკმაოდ აქტუალურია ვინაიდან პრეზიდენტის უფლება-მოვალეობების შემცირებას და მისი არჩევის წესის ფუნდამენტალურმა ცვლილებამ საზოგადოებაში გამოიწვია ვნებათაღელვა, რაც გამოიხატა საზოგადოების ნაწილის უარყოფით დამოკიდებულებაში. ცვლილებებს ასევე ყავს მომხრეებიც. საკითხი ახალია, ნაკლებია ინფორმაცია აღნიშნულის მიმართ, ნაკლებია ნაშრომები და ნაკვლევიც. ძირითადად იძულებული ვარ უფრო მეტი აქცენტი გავაკეთო მკვლევართა მოსაზრებების მაგივრად ევროპული სახელმწიფოების მოქმედ კანონმდებლობებზე.

ჩემთვის მნიშვნელოვანია დავადგინო ის დადებითი და უარყოფითი მხარეები, რაც შეიძლება გამოიწვიოს მოცემულმა 2018 წლის 23 მარტის საკონსტიტუციო ცვლილებებმა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ჩემი მიზანია სამაგისტრო ნაშრომის სახით შევძლო ქვემოთ ჩამოთვლილ კითხვებზე პასუხის გაცემა:

1. რა როლი აკისრია პრეზიდენტს საპარლამენტო რესპუბლიკაში?
2. როგორია პრეზიდენტის ლეგიტიმაციის საკითხი საქართველოს ისტორიაში?

3. რა როლი ეკისრებოდა ისტორიულად პრეზიდენტს საქართველოში?
4. მოქმედი კანონმდებლობით რა როლი აქვს პრეზიდენტს ჩვენს სახელმწიფოში?
5. შემცირდა თუ არა პრეზიდენტის უფლება-მოვალეობები ახალი 2018 წლის 23 მარტს მიღებულ კონსტიტუციაში?
6. რა საკითხებში შემცირდა საქართველოს პრეზიდენტის უფლებები, ახალი კონსტიტუციის თანახმად?
7. როგორ ირჩევდნენ პრეზიდენტს ახალი კონსტიტუციის მიღებამდე საქართველოში?
8. რამდენად მართებულია პრეზიდენტის არჩევა 300 ხმოსანის მიერ?
9. რამდენად თახხვედრაშია საქართველოს კონსტიტუცია ევროპული საპარლამენტო რესპუბლიკების კონსტიტუციებთან?
10. როგორია პრეზიდენტის უფლება-მოვალეობები და არჩევის წესი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში?
11. როგორია პრეზიდენტის უფლება-მოვალეობები და არჩევის წესი იტალიის რესპუბლიკაში.
12. როგორია პრეზიდენტის უფლება-მოვალეობები და არჩევის წესი ჩეხეთის რესპუბლიკაში.
13. როგორია პრეზიდენტის უფლება-მოვალეობები და არჩევის წესი ლატვიის რესპუბლიკაში?
14. როგორია პრეზიდენტის უფლება-მოვალეობები და არჩევის წესი სერბეთის რესპუბლიკაში?
15. როგორია პრეზიდენტის უფლება-მოვალეობები და არჩევის წესი სლოვაკეთის რესპუბლიკაში?
16. როგორია პრეზიდენტის უფლება-მოვალეობები და არჩევის წესი ირლანდიის რესპუბლიკაში?
17. როგორია პრეზიდენტის უფლება-მოვალეობები და არჩევის წესი ესტონეთის რესპუბლიკაში?

18. როგორია პრეზიდენტის უფლება-მოვალეობები და არჩევის წესი უნგრეთის რესპუბლიკაში?

19. როგორია პრეზიდენტის უფლება-მოვალეობები და არჩევის წესი ხორვატიის რესპუბლიკაში?

კვლევის ობიექტს წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობა პრეზიდენტის ინსტიტუტთან მიმართებაში. ხოლო იმის გამო, რომ თემა ახალია, უნდა აღინიშნოს საკითხთან მიმართებით ძალიან მწირი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და მწირი საინფორმაციო რესურსი არსებობს. მაგრამ უნდა ავღნიშნო ისიც, რომ ძალიან გამომადგა თემის დამუშავებისას ვასილ გონაშვილის რედაქტორობით გამოცემული ხუთ ტომეული სახელწოდებით „საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები“, სადაც მკაფიოდ და გარკვევით არის ნათარგმნი ევროპული სახემწიფოების კონსტიტუციები და მათი კომენტარები.

ნაშრომი შედგება ანოტაციის, შესავალი ნაწილის, ორი თავისა და დასკვნისაგან. ნაშრომს ერთვის გამოყენებული ლიტერატურული ნუსხა.

თავი I. პრეზიდენტის როლი საპარლამენტო რესპუბლიკაში

1.1. პრეზიდენტის ლეგიტიმაციის არსი საპარლამენტო

რესპუბლიკაში

დასაწყისშივე უნდა ითქვას, რომ მმართველობის ორივე მოდელი, როგორც საპარლამენტო ისე საპრეზიდენტო, არის თანამედროვე დემოკრატიული პოლიტიკის ფუნქციონირების ფორმა. ორივე მოდელის ინტელექტუალური ისტორია დასავლური წარმოშობისაა და მოდერნიზაციის ერთგვარი სოციო-პოლიტიკური პროდუქტია. თუმცა კონტინენტური ევროპული ქვეყნები ირჩევენ მეტწილად საპარლამენტო მოდელს, მაშინ როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების მმართველობის ფორმა მთლიანად ეფუძნება საპრეზიდენტო მოდელს. პოლიტიკურად, რომ ავხსნათ, ძირითადი განსხვავება ამ ორ სისტემას შორის არის იმის თაობაზე თუ როგორ უნდა განაწილდეს ძალაუფლება და ვის ხელში უნდა იყოს რეალურად თავმოყრილი პოლიტიკური ძალაუფლება. შესაბამისად, პრაქტიკულ პოლიტიკურ ცხოვრებაში, საპრეზიდენტო პოლიტიკის ცხოვრებაში, საპრეზიდენტო რესპუბლიკის პირობებში პრეზიდენტი და მისი გუნდი (მაგ. მისი პარტია, მრჩეველები, აპარატი, მოკავშირე ელიტები და ა.შ) წარმოადგენს ძალაუფლების ძირითად კონგლომერატს, მაშინ როდესაც საპარლამენტო სისტემის პირობებში ძალაუფლება ეკუთვნის იმ პარტიულ ჯგუფს (ან ჯგუფებს), რომელიც იმარჯვებს არჩევნებში, იძენს ფართო სოციალურ ლეგიტიმაციას და საპარლამენტო პოლიტიკის მეშვეობით აყალიბებს მთავრობას, რომლის საშუალებითაც იღებს რეალურ ძალას.¹

გასათვალისწინებელია ისიც, რომ საპარლამენტო მმართველობის ფორმა აიძულებს პოლიტიკურ პარტიებს იფიქრონ მათი იდეოლოგიური იდენტობის მკაფიოდ ფორმირებაზე და მობილიზაცია მოახდინონ საკუთარი ელექტორატის,

¹ ბერეკაშვილი ბ. პრეზიდენტის ინსტიტუტი საპარლამენტო სისტემის პირობებში: ევროპული დემოკრატიების შედარებითი ანალიზი (სტატია) შესავალი: დემოკრატიული მმართველობის ორი მოდელი იხ<<https://1tv.ge/analytics/prezidentis-instituti-saparlamanto-sistemis-pirobebshi-evropuli-demokratiebis-shedarebiti-analizi/>>, გვ.1, (27.04.2017).

რომელიც გარკვეულ იდეოლოგიურ თუ ღირებულებით მოცულობას დაეყრდნობა არჩევანის გაკეთებისას.²

ზოგადად არსებობს საპარლამენტო მმართველობის ორი ფორმა: ვესმინსტერის მოდელი და დასავლეთ ევროპული მოდელი. აქედან პირველი ფორმა ანუ ვესტმინსტერის მოდელი მორგებულია დიდ ბრიტანეთსა და ე.წ თანამეგობრობის ერებზე (მაგ. კანადა, ავსტრალია, ახალი ზელანდია და ა.შ). რაც შეეხება მეორე ფორმას ანუ დასავლეთ ევროპულ საპარლამენტო დემოკრატიას, ის მორგებულია ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმეტესობაზე, სადაც მიუხედავად მმართველობის საპარლამენტო ფორმისა ზოგიერთ ქვეყანაში მოქმედებს პრეზიდენტის ინსტიტუტიც. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის უმეტეს ქვეყნებში, რომელთა მმართველობის ფორმა საპარლამენტო სისტემაა, პრეზიდენტი ფუნქციის მატარებელია და არ განსაზღვრავს პოლიტიკური ცხოვრების დღის წესრიგს, შესაბამისად ვერ დომინირებს ქვეყნის პოლიტიკურ პროცესებზე. თუმცა არის გარკვეული შემთხვევები, როდესაც ასეთი სისტემის პირობებში პრეზიდენტებს აქვთ მცდელობა ძალაუფლების კონსოლიდაციის.³

შეიძლება ითქვას, რომ გერმანია კონტინენტური ევროპული საპარლამენტო მოდელის კლასიკური რეპრეზენტაციაა. შესაბამისად, ხშირად ასეთ მოდელს ასევე ვუწოდებთ გერმანულ მოდელსაც. საპარლამენტო სისტემის წარმატებას გერმანიაში ცხადია განაპირობებს საპარლამენტო პოლიტიკის ის ტრადიციები, რომელთა განვითარება მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ხდებოდა, როდესაც პოლიტიკური მოდერნიზაციის ახალი ტალღა აქტიურად იყო მიმართული ეფექტური საპარლამენტო სისტემის ჩამოყალიბებაზე.⁴

პროფესორი მანფრედ შმიდტი წარმოგვიდგენს გერმანულ სახელმწიფოს, როგორც საპარლამენტო მმართველობის მოდელს, რომელიც მკვეთრად განსხვავდება ამერიკული საპრეზიდენტო ან გნებავთ ფრანგული ნახევრად

² ბერეკაშვილი ბ. პრეზიდენტის ინსტიტუტი საპარლამენტო სისტემის პირობებში: ევროპული დემოკრატიების შედარებითი ანალიზი, (სტატია) პრეზიდენტის ინსტიტუტი საპარლამენტო რესპუბლიკის ქვეშ: მნიშვნელობა, როლი და ფუნქცია. იხ<<https://1tv.ge/analytics/prezidentis-instituti-saparlamento-sistemis-pirobeshi-evropuli-demokratiebis-shedarebiti-analizi/>>, გვ.1, (27.04.2017)

³ იქვე გვ. 1;

⁴ იქვე გვ. 1;

საპრეზიდენტო მოდელისგან ან თუნდაც ბრიტანული საპარლამენტო მონარქიის მოდელისგან.⁵ შმიდტი ამტკიცებს, რომ პრეზიდენტის ფუნქციები გერმანიაში ცერემონიულია და ის ასრულებს გარკვეულ სიმბოლურ პოლიტიკურ ქმედებებს (მაგალითად ბუნდესტაგს წარუდგენს ფედერალური კანცლერის თანამდებობაზე ასარჩევ კანდიდატს). ამიტომ, ზოგადად, გერმანულ პოლიტიკური სისტემას ხშირად უწოდებენ „კანცლერის დემოკრატია“, რადგან ამ ქვეყნის საპარლამენტო სისტემაზე ყოველთვის დომინირებს კანცლერის პოლიტიკური ფენომენი, მაშინ როდესაც პრეზიდენტის როლი ძალიან სუსტია.⁶

გამომდინარე პრეზიდენტის ინსტიტუტის სუსტი პოლიტიკური როლიდან, გერმანიაში პრეზიდენტი აირჩევა არაპირდაპირი გზით ანუ ფედერალური კრების მიერ (ანუ სპეციალური ორგანოს მიერ, რომლის შემადგენლობაშიც შედის ბუნდესტაგის ყველა წევრი და ასევე ფედერალური მიწების საკანონმდებლო სტრუქტურათა დელეგატები იმ ერთი კონკრეტული მიზნით, რომ აირჩიონ ქვეყნის პრეზიდენტი).⁷

ჩეხეთში, სადაც ასევე საპარლამენტო სისტემა ფუნქციონირებს, პრეზიდენტი აირჩევა პირდაპირი გზით. თუმცა 2012 წლამდე პრეზიდენტი აირჩეოდა არაპირდაპირი გზით, ჩეხეთის პარლამენტის მიერ. 2012 წლის შემოდგომიდან კი პრეზიდენტი არჩევა ხალხის მიერ 5 წლის ვადით. უნდა ითქვას, რომ განსხვავებით პოლონეთისგან, ჩეხეთში, პრეზიდენტის გავლენა პოლიტიკურ ცხოვრებაში არ არის ძლიერი. ამას განაპირობებს ჩეხეთის პარტიული სისტემა, რომელიც პოლონეთისგან განსხვავებით უფრო მეტად მიმართულია დასავლური პოლიტიკური სისტემის პრინციპებზე, რაც აფუძნებს პრეზიდენტის სუსტ როლს საპარლამენტო რესპუბლიკის პირობებში. თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ 2013 წლის გაზაფხულზე ჩატარებული არჩევნების შედეგად ჩეხეთის პრეზიდენტი ხდება ექსცენტრიული პოლიტიკოსი მილოშ ზემანი, რომელიც ხშირად მანიპულირებს იმით, რომ ის ხალხის მიერ არჩეული

⁵ ბერეკაშვილი ბ. პრეზიდენტის ინსტიტუტი საპარლამენტო სისტემის პირობებში: ევროპული დემოკრატების შედარებითი ანალიზი, (სტატია) გერმანია იხ<<https://1tv.ge/analytics/prezidentis-instituti-saparlamanto-sistemis-pirobebshi-evropuli-demokratiebis-shedarebiti-analizi/>> გვ.1,(27.04.2017)

⁶ იქვე, გვ.1;

⁷ იქვე, გვ.1;

პრეზიდენტია და გამოირჩევა ისეთი პოლიტიკური რიტორიკით, რომელიც ხშირად ქმნის კრიზისულ ვითარებას ჩეხეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ზემანის სკანდალური თვისებები და მზარდი ვულგარული განცხადებები არ პასუხობს თანამედროვე ჩეხეთის პოლიტიკური და დემოკრატიული ინტერესების დღის წესრიგს.⁸

შეიძლება დავასკვნათ, რომ დასავლურ ევროპული საპარლამენტო დემოკრატიის პირობებში პრეზიდენტის როლი არის სუსტი, ცერემონიალური და სიმბოლური განზომილების მქონე. ალბათ ამის ძირითადი მიზეზი მაინც დასავლეთის რთული პოლიტიკური წარსულია როდესაც ქარიზმატული ლიდერების მმართველობამ გამოიწვია პოლიტიკური ძალადობა, დრამატული კონფლიქტები და დიდი სოციალური კატასტროფები. ამიტომ ალბათ ლოგიკურია ისიც, რომ დასავლეთ ევროპის განვითარებული დემოკრატიები ცდილობენ შეინარჩუნონ პრეზიდენტის სუსტი როლი პოლიტიკურ ცხოვრებაში, რათა ძალაუფლება არ იქნას თავმოყრილი ერთი ლიდერის ხელში და შესაბამისად პოლიტიკური ცხოვრების განმსაზღვრელი იყოს ხალხი და მათ მიერ არჩეული პარტიები კონკრეტული მიზნებითა და პოლიტიკური პროგრამებით.⁹

ასევე, უნდა ითქვას ისიც რომ, პოლონეთისა და ჩეხეთის რესპუბლიკის მაგალითები ცხადყოფს იმას, რომ საპარლამენტო რესპუბლიკის პირობებში პრეზიდენტის როლის გაძლიერებამ და მისმა პირდაპირი წესით არჩევამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას დემოკრატიული პოლიტიკის კულტურას და შესაძლებლობა მისცეს ცალკეულ პოლიტიკურ ლიდერებს ხალხის სახელით განამტკიცონ საკუთარი ძალაუფლება და ლობირება გაუწიონ საკუთარ პოლიტიკურ ინტერესებსა და მანიპულაციურ პოლიტიკას.¹⁰

საპარლამენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტი მეტწილად წარმომადგენლობით ფუნქციას ატარებს და ერთგვარი პოლიტიკური სისტემის

⁸ ბერეკაშვილი ბ. პრეზიდენტის ინსტიტუტი საპარლამენტო სისტემის პირობებში: ევროპული დემოკრატიების შედარებითი ანალიზი, (სტატია) გერმანია იხ-><https://1tv.ge/analytics/prezidentis-instituti-saparlamento-sistemis-pirobebshi-evropuli-demokratiebis-shedarebiti-analizi/> გვ.1, (27.04.2017)

⁹ იქვე, გვ.1 ;

¹⁰ იქვე, გვ.1;

სარეზერვო ინსტრუმენტის როლს თამაშობს. იგი მანდატს იღებს არა უშუალოდ ხალხისაგან, არამედ პარლამენტის ან სპეციალური წარმომადგენლობითი საარჩევნო კოლეგიისაგან. თუ დღეს საპარლამენტო მონარქიის პირობებში მონარქზე ითქმის რომ მეფობს მაგრამ არ მართავს, თითქმის იგივე შეიძლება ითქვას საპარლამენტო რესპუბლიკის პრეზიდენტზე. საპარლამენტო რესპუბლიკაში ცენტრალური ადგილი უკავია მთავრობას და მის მეთაურს, პრეზიდენტის უფლებამოსილებები კი არ გადაიჭრება აღმასრულებელი ხელისუფლების სფეროში. კონსტიტუციები ხშირად შეიცავენ ნორმას, რომ მთავრობის მეთაურს ნიშნავს პრეზიდენტი, მაგრამ ეს ნორმა უფრო ფორმალურ ხასიათს ატარებს. სახელმწიფოს მეთაური არ არის აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური და არც პრემიერ-მინისტრის შერჩევაში სარგებლობს თავისუფლებით. იგი მთავრობის ხელმძღვანელი პირის განსაზღვრისას მთლიანად დამოკიდებულია საპარლამენტო უმრავლესობის ნებაზე. თავის მხრივ, მთავრობას პასუხისმგებლობა მხოლოდ პარლამენტის წინაშე ეკისრება. საპარლამენტო სისტემაში სახელმწიფოს მეთაურის როლი იზრდება სამთავრობო და საპარლამენტო კრიზისების დროს, როდესაც მთავრობა კარგავს საპარლამენტო უმრავლესობის მხარდაჭერას სახელმწიფოს მეთაურის როლი პოლიტიკურ ცხოვრებაში, სწორედ ამ დროს იზრდება მნიშვნელოვანწილად, ხოლო საკითხთა ის წრე, რომლებსაც იგი დამოუკიდებლად თავის შეხედულებისამებრ წყვეტს შესამჩნევად ფართოვდება.¹¹

მიუდევად იმისა, რომ პრეზიდენტი ფორმალურ-იურიდიული თვალსაზრისით საკმაო უფლებებითაა აღჭურვილი, მას უკავია მაღალი, მაგრამ არა გადამწყვეტი ადგილი, ამიტომაც იგი ხასიათდება როგორც „უხელისუფლებო“ პრეზიდენტი. ამ სისტემაში პრეზიდენტი მხოლოდ ქვეყნის ერთიანობის სიმბოლოს განასახიერებს. ვიწრო სახელმწიფოს მეთაურის დისკრეციულ უფლებამოსილებათა წრე და იგი თავის ძირითად უფლებამოსილებებს მთავრობის მეთაურის, ზოგ შემთხვევაში კი შესაბამისი მინისტრის თანხმობით წყვეტს. სახელმწიფოს მეთაური ამ პირობებში არბიტრია

¹¹ დემეტრაშვილი ა. კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელო გვ.276 თბილისი 2005წ;

ხელისუფლების შტოებს შორის, რომელიც იმავდროულად წარმოადგენს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო ურთიერთობებში, განასახიერებს ქვეყნის ერთიანობას.¹²

¹² დემეტრაშვილი ა. კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელო გვ.276 თბილისი 2005წ;

1.2. პრეზიდენტის ლეგიტიმაციის ისტორია საქართველოში

პრეზიდენტის ცნება ქართული პოლიტიკურ სამართლებრივი-სივრცისთვის საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომი ნოვაციაა. საქართველოს პირველ რესპუბლიკაში პრეზიდენტის ინსტიტუტი არც 1921 წლის კონსტიტუციამდე და არც კონსტიტუციის მიღების შემდეგ de jure არსებობდა.¹³ პირველი რესპუბლიკა, რომელიც იმ ეპოქის ადეკვატუტ კონტურებს ატარებდა,¹⁴ არ იცნობდა ამ კატეგორიის სახელმწიფოთა მთავარ მახასიათებელს - ქვეყნის ფორმალურ, პოლიტიკურად ნეიტრალურ მეთაურს¹⁵, არ აღიარებდა ხელისუფლების შტოთა არბიტრისა და „სახელმწიფო ნიტარიუსის“ საჭიროებას¹⁶.

პრეზიდენტის თანამდებობა საქართველოში თავდაპირველად 1991წ. აპრილში დამკვიდრდა, თუმცა ამაზე საუბარი 1921 წლის კონსტიტუციის პროექტზე მუშაობისას დაიწყო. მაშინ, ხანგრძლივი დებატების შემდეგ, ყველა მემარცხენე პოლიტიკურმა პარტიამ (რომლებიც დამფუძნებელ კრებაში შეადგენდნენ უმრავლესობას), უარი თქვა მის დამკვიდრებაზე. პრეზიდენტის ინსტიტუტის ერთად-ერთი მხარდამჭერი იმხანად „ეული“ მემარჯვენე „ეროვნულ დემოკრატიული“ პარტია ითვლებოდა, რომლის წარმომადგენლობა დამფუძნებელ კრებაში არ იყო საკმარისი ამ გაადწვევტილების მისაღებად¹⁷.

1991 წ. პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღება უკავშირდება საბჭოთა ეპოქაში პირველი მრავალპარტიული არჩევნების ჩატარებას¹⁸. არჩევნების შემდეგ, მოკლე დროში, საქართველოს უზენაესი საბჭოს 1991 წლის 9 აპრილის

¹³ დ. გეგენავას რედაქტორობით გამოცემული წიგნი სახელწოდებით შესავალი საქართველოს საკონსტიტუციო სამართალში, 2019წ, გვ. 188;

¹⁴ ქანთარია ბ., კონსტიტუციონალიზმის ფუნდამენტური პრინციპები და მმართველობის ფორმის სამართლებრივი ბუნება პირველ ქართულ კონსტიტუციაში, თბილისი 2013, გვ. 25.

¹⁵ იქვე, მაცაბერიძე მ., პრეზიდენტის ინსტიტუტის საკითხი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, თბილისი, 2011, გვ.122-130;

¹⁶ გვაზავა გ. კონსტიტუციის ირგვლივ - პრეზიდენტი რესპუბლიკისა, წიგნში: ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები, თბილისი, 2016, გვ.350-355;

¹⁷ დემეტრაშვილი ა. კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელო. თავი მეორე. საქართველოს პრეზიდენტი. თბილისი 2005წ, გვ.291;

¹⁸ იქვე, გვ.291;

დადგენილებით იქნა შემოღებული¹⁹. ამავე წლის 14 აპრილს მიღებული იქნა შესაბამისი კონსტიტუციური კანონიც . საინტერესოა ის სამართლებრივ-პოლიტიკური ფაქტორებიც, რომლებმაც განაპირობა საქართველოში პრეზიდენტის ინსტიტუტის აღმოცენება²⁰.

მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის ფაქტი, რომ პრეზიდენტის თანამდებობის შემოღება მოხდა 1991 წლის 9 აპრილს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტის მიღების შემდეგ , როდესაც საქართველო ისწრაფვოდა საერთაშორისო სამართალსუბიექტივობისაკენ. ამისათვის უნდა გამოკვეთილიყო ის უფლებამოსილი უმაღლესი სახელმწიფო მოხელე, რომელიც ქვეყნის წარმომადგენლობითი ფუნქციების სრულფასოვანი მატარებელი იქნებოდა.²¹

1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტში აღიარებულ პრინციპებს შესაბამისი ინსტიტუტებით უზრუნველყოფის მექანიზმები სჭირდებოდა²². ამგვარად დადგა სახელმწიფოს მეთაურის საბჭოური მოდელიდან - კოლეგიალური ორგანოდან ერთპიროვნულ მოდელზე გადასვლის საკითხი. თუკი ერთპიროვნულ პრეზიდენტის ინსტიტუტზე უარს ვიტყვით, შესაბამისად პრემიერ-მინისტრი ან უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე მოკლებული იქნებოდა ინდივიდუალური წარმომადგენლობითი ფუნქციების სახელმწიფოს მეთაურის სახელით გატარების საშუალებას. (მონარქიის საკითხი ამ დროისათვის სერიოზულად არც დასმულა)²³.

პრეზიდენტის ინსტიტუტის კონსტიტუციური სტატუსი მართვა-გამგეობის შერეული (ფრანგული) ფორმის შესატყვისი იყო, რომელიც მთავრობასთან ერთად იყოფდა აღმასრულებელ ხელისუფლებას.²⁴

1991-92 წლებში ხელისუფლების არაკონსტიტუციური დამხობის შემდეგ, 1995 წლის 5 ნოემბრის არჩევნებამდე საქართველოს უპრეზიდენტოდ მოუხდა

¹⁹ დემეტრაშვილი ა. კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელო. თავი მეორე. საქართველოს პრეზიდენტი. გვ.292 თბილისი 2005წ.

²⁰ იქვე, გვ.292;

²¹ იქვე, გვ.292;

²² იქვე, გვ.292;

²³ იქვე, გვ.292;

²⁴ იქვე, გვ.293;

ცხოვრება.²⁵ 1992 წ. 28 ოქტომბერს, პარლამენტთან ერთად აირჩა მისი თავმჯდომარეც, რომელიც მოგვიანებით სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ კანონით პარლამენტისავე მიერ არჩეული იქნა სახელმწიფოს მეთაურად. ეს იყო სახელმწიფოს მეთაურის ორიგინალური მოდელი, რომელიც 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის მიღებით შეცვალა პრეზიდენტმა.²⁶

პრეზიდენტის თანამდებობის აღდგენა უკავშირდება 1995 წლის კონსტიტუციის მიღებას. კონსტიტუციის პროცესზე მუშაობისას პარტიები არ დავობდნენ ამ ინსტიტუტის მიზანშეწონილობაზე და აღიარებდნენ მისი არსებობის საჭიროებას, თუმცა დავის ობიექტი კონსტიტუციურ ინსტიტუტებში მისი ადგილისა და როლის განსაზღვრა იყო. საბოლოოდ მიღწეული კომპრომისი - საპრეზიდენტო რესპუბლიკა - ხელისუფლების დანაწილების ამერიკული სისტემა - 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციაში აისახა.²⁷

პრეზიდენტის მაღალ თანამდებობაში ერთმანეთს შეერწყა სახელმწიფოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურობა. მთავრობა როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების დამოუკიდებელი კოლეგიალური განშტოება არ არსებობდა და იგი იყო პრეზიდენტის სათათბირო ორგანო. შესაბამისად არ არსებობდა მთავრობის პარლამენტის წინაშე პოლიტიკური პასუხისმგებლობის წესი და პრეზიდენტის წინაშე იყო პასუხისმგებელი აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა წარმომადგენელი.²⁸

პრეზიდენტი როგორც სახელმწიფოს მეთაური, წარმოჩენილი იქნა ქვეყნის ერთიანობისა და მთლიანობის გარანტადაც. პრეზიდენტი კონსტიტუციურად არ ფლობდა პარლამენტის დათხოვნის უფლებას, რადგანაც იგი არ იყო ხელისუფლების ამგვარი დანაწილების ფორმასთან თავსებადი უფლებამოსილება.²⁹

²⁵ დემეტრაშვილი ა. კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელო. თავი მეორე. საქართველოს პრეზიდენტი. გვ.293 თბილისი 2005წ;

²⁶ იქვე, გვ.293;

²⁷ იქვე, გვ.293;

²⁸ იქვე, გვ.293;

²⁹ იქვე, გვ.293;

პრეზიდენტ ე. შევარდნაძის თანამდებობიდან ვადამდე გადადგომის შემდეგ, პარლამენტმა 2004 წ. 6 თებერვალს კონსტიტუციურად გადასინჯა რა, ხელისუფლების დანაწილების ე.წ. „ამერიკული ვარიანტი“, განახორციელა მასშტაბური კონსტიტუციური რეფორმა, რამაც თავისთავად მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა პრეზიდენტის კონსტიტუციურ სამართლებრივ სტატუსშიც.³⁰

2004 წელი. 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ საქართველოს პარლამენტმა მიიღო კონსტიტუცია, რომლითაც პრეზიდენტი აღიჭურვა კიდევ უფრო დიდი და ფართო უფლებებით და დომინირებდა ყველა სხვა სახელისუფლო შტოსა და ინსტიტუტზე. ეს იყო სუპერსაპრეზიდენტო მოდელი.³¹

2010 წელი. კონსტიტუციაში შევიდა ცვლილებები. ნაწილი ამოქმედდა მაშინვე, მმართველობის ნაწილი - 2013 წლის პრეზიდენტის ინუგურაციის შემდეგ. 2010 წლის კონსტიტუცია იყო სუპერსაპრემიერო მოდელი: პრემიერის განუზომლად დიდი უფლებებით, კიდევ უფრო სუსტი პარლამენტით და პრეზიდენტით, რომელსაც ჩამოერთვა ყველა აღმასრულებელი უფლება და დაემსაგვსა საპარლამენტო მოდელის პრეზიდენტს³². 2010 წლის მასშტაბური საკონსტიტუციო ცვლილებებით საქართველო დაუახლოვდა საპარლამენტო რესპუბლიკის ტიპს³³, თუმცა ამ ცვლილებათა მოქმედების მანძილზე ქვეყნის კატეგორიზაცია მმართველობითი მოდელების კლასიკურ დაყოფაში საკმაოდ რთულია³⁴. ამ შერეულ მოდელში პრეზიდენტი დისტანცირდა მთავრობისაგან, ჩამოერთვა საკანონმდებლო ინიციატივა და მინისტრების გათავისუფლების უფლება. შეიკვეცა პრეზიდენტის პრეროგატივა, შეეჩერებინა ან გაუუქმებინა

³⁰ დემეტრაშვილი ა. კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელო. თავი მეორე. საქართველოს პრეზიდენტი. გვ.293 თბილისი 2005წ;

³¹ იხ. <<https://imedineews.ge/ge/theme/96/ra-shetsvala-akhalm-konstitutsiam-mtavari>>(29.09.2017)

³² დემეტრაშვილი ა. კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელო. თავი მეორე. საქართველოს პრეზიდენტი. გვ.294 თბილისი 2005წ;

³³ ბაბუკი ვ., ერფრუტი ჯ., შტაინროტერი ბ., შედარებითი სამართლის მეთოდოლოგიის გამოყენება პრაქტიკაში, პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებათა გადანაწილება საქართველოში, საფრანგეთსა და გერმანიაში, „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, N8, 2015, გვ.121;

³⁴ გეგენავა დ., ქანთარია ბ., ცანავა ლ., თევზაძე თ., მაჭარაძე ზ., ჯავახიშვილი პ., ერქვანია თ., პაპაშვილი თ., საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი, მე-4 გამოცემა, თბილისი, 2016, 115; გოდოლაძე კ., საკონსტიტუციო ცვლილებები საქართველოში პოლიტიკური და სამართლებრივი ასპექტები, დე პარლამენტარიზაცია: მითი თუ რეალობა, თბილისი, 2013, გვ.33-34;

მთავრობისა და აღმასრულებელი ხელისფულების აქტები, თუკი ისინი ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციას, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, კანონებსა და პრეზიდენტის ნორმატიულ აქტებს, რითაც პირველი პირი გაუმართლებლად იჭრებოდა სასამართლო ძალაუფლებაში³⁵.

2013 წელი. ახლადარჩეულმა პარლამენტმა კონსტიტუციაში რამდენიმე ცვლილების შეტანით შეზღუდა პრემიერმინისტრის უფლებები. ეს მოდელი დაუახლოვდა საპარლამენტო მოდელს³⁶. ხოლო 2018 წლის 23 მარტს პარლამენტმა მიიღო ახალი კონსტიტუცია, რომლითაც განისაზღვრა ქვეყნის მართვის საპარლამენტო მოდელი.

³⁵ კვერენჩილაძე გ., ქართული კონსტიტუციონალიზმის ნოვაციები: პრეზიდენტისა და მთავრობის კონსტიტუციური კონსტრუქცია მიმართების თავისებურებები 2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმის ჭრილში, „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“ N5, 2012, 190;

³⁶ დემეტრაშვილი ა. კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელო. თავი მეორე. საქართველოს პრეზიდენტი. გვ.294 თბილისი 2005წ;

1.3 პრეზიდენტის ლეგიტიმაციის საკითხი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით

2018 წლის 23 მარტს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი კონსტიტუცია. ახალი კონსტიტუციით, ძირითადი ცვლილებები პრეზიდენტის და პარლამენტის არჩევის წესებს ეხება. კერძოდ, 2024 წლიდან პრეზიდენტს არა პირდაპირი არჩევნებით, არამედ საარჩევნო კოლეგიის მეშვეობით აირჩევენ. 2024 წლიდან უქმდება მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა და პარლამენტი მხოლოდ პროპორციული სისტემით არჩეული 150 წევრით დაკომპლექტდება.³⁷

ახალი უზენაესი კანონის მიხედვით ქვეყანა მთლიანად საპარლამენტო მმართველობის მოდელზე გადადის, რაც ნიშნავს სახელმწიფოს მეთაური ნეიტრალური არბიტრის და სახელისუფლებო შტოებს შორის დამბალანსებლის ფუნქციის შექმნას.³⁸

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვენეციის კომისია 2017 წელს, ახალი კონსტიტუციის დამტკიცებამდე გვიგზავნის დასკვნას სადაც აღნიშნულია, რომ „ვენეციის კომისია კვლავ აცხადებს თავის დადებით შეფასებას. კერძოდ იმას, რომ საკონსტიტუციო რეფორმის პროცესი ასრულებს საქართველოს პოლიტიკური სისტემის ევოლუციას საპარლამენტო რესპუბლიკისკენ და დადებით ნაბიჯს წარმოადგენს ქვეყნის საკონსტიტუციო წესრიგის კონსოლიდირებასა და გაუმჯობესებისკენ, რომელიც ეფუძნება დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და ფუნდამენტური უფლებების დაცვის პრინციპებს.“³⁹

პრეზიდენტი კვლავ რჩება სახელმწიფოს მეთაურად, მთავარსარდლად და წარმომადგენლად საგარეო ურთიერთობებში; თუმცა მას აღარ ევალება, რომ „კონსტიტუციით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში უზრუნველყოს სახელმწიფო ორგანოთა ფუნქციონირება“⁴⁰. პრეზიდენტი კარგავს უფლებას, რომ „მთავრობის სხდომაზე საკითხის განხილვა მოითხოვოს და მონაწილეობა მიიღოს ამ განხილვაში“.

³⁷ იხ. <https://old.civil.ge/geo/article.php?id=31622> (27.09.2017).

³⁸ იხ. <https://www.youtube.com/watch?v=sDVmvRXqX7g> (14.12.2018)

³⁹ ვენეციის კომისიის რეკომენდაციების დასკვნითი ნაწილი, დასკვნა: 51 23.09.2017;

⁴⁰ იხ. <https://old.civil.ge/geo/article.php?id=31622> (27.09.2017);

პრეზიდენტი აღარ აირჩევა პირდაპირი არჩევნების გზით, არამედ “საქართველოს პრეზიდენტს 5 წლის ვადით დებატების გარეშე ფარული კენჭისყრით ირჩევს საარჩევნო კოლეგია (პირველი პუნქტი). საარჩევნო კოლეგიის შემადგენლობაში შედის 300 ხმოსანი, მათ შორის საქართველოს პარლამენტის და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების ყველა [150] წევრი. სხვა ხმოსნებს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ორგანული კანონის საფუძველზე პროპორციული გეოგრაფიული წარმომადგენლობის პრინციპის დაცვითა და ადგილობრივი თვითმმართველობის პროპორციული წესით ჩატარებული არჩევნების შედეგების მიხედვით პროპორციულად განსაზღვრული კვოტების შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების შემადგენლობიდან ასახელებენ შესაბამისი პოლიტიკური პარტიები. საარჩევნო კოლეგიის შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია (მე-2 პუნქტი).”⁴¹

ამრიგად, პრეზიდენტის პირდაპირი საყოველთაო არჩევნები გაუქმებულია და ჩანაცვლებულია ამომრჩეველთა კოლეგიის მეშვეობით არაპირდაპირი არჩევნების სისტემით. რამდენადაც ცვლილებების პროექტი ძალაში შედის საქართველოს პრეზიდენტის მომდევნო არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე (გარდამავალი დებულებების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი), ახალი საარჩევნო სისტემა ძალაში შევა 2023 წელს, ანუ, 2018 წელს ჩანიშნული უახლესი საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ. ეს დაყოვნება მისასალმებელია.⁴²

დემოკრატიულ სახელმწიფოებში, არსებობს პრეზიდენტის არჩევნების სხვადასხვა მოდელები. მაგალითად, გერმანიაში, პრეზიდენტი (Bundespräsident) აირჩევა ფედერალური ასამბლეის მიერ (გერმანიის ძირითადი კანონის 54-ე მუხლი) მაშინ, როდესაც საფრანგეთში, საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი აირჩევა საყოველთაო არჩევნებით (კონსტიტუციის მე-7 მუხლი).

⁴¹ ვენეციის კომისია, მოსაზრება 876, მოსაზრება 50, მიღებულია ვენეციის კომისიის მიერ 111-ე პლენარულ სხდომაზე (ვენეცია 2017 წლის 16-17 ივნისი) .იხ.<

<https://www.gdi.ge/uploads/other/0/620.pdf>;

⁴² იხ. <https://old.civil.ge/geo/article.php?id=31622> (27.09.2017);

საპრეზიდენტო არჩევნების შესაბამისი მოდელი განისაზღვრება კონკრეტული კონსტიტუციური მოწყობის კონტროლისა და წონასწორობის მთლიანი სისტემის გათვალისწინებით.⁴³

კონსტიტუციური კანონის პროექტის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტი აირჩევა არც მხოლოდ პარლამენტის და არც მხოლოდ საყოველთაო არჩევნებით, არამედ ახლად შექმნილი საარჩევნო კოლეგიის მეშვეობით. ეს სისტემა შეესაბამება პრეზიდენტისთვის კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტით მინიჭებულ ნეიტრალური არბიტრის როლს. არჩევნები ტარდება ფარული კენჭისყრით. საბერძნეთში, პრეზიდენტის ფარული კენჭისყრით არჩევა გაუქმდა და ამ ნაბიჯს ახლა ყველა დაინტერესებული მხარე მიესალმება, როგორც გამჭვირვალობისკენ წინგადადგმულ ნაბიჯს.⁴⁴

თუმცა, ერთის მხრივ, კონსტიტუციური კანონის პროექტი არ ცდილობს, რომ მიაღწიოს უფრო მეტ კონსესუსს საარჩევნო კოლეგიის შიგნით საარჩევნო კოლეგიის მიერ პრეზიდენტის არჩევნების პირველ რაუნდში კვალიფიციური უმრავლესობის (2/3 ან 3/5) მოთხოვნით (50-ე მუხლის მე-4 პუნქტი). აგრეთვე გასათვალისწინებელია ის, რომ საარჩევნო კოლეგიის ნახევარი პარლამენტის წევრებისგან შედგება. თუ 5-პროცენტის ბარიერი, საარჩევნო ბლოკების გაუქმებასა და გაუნაწილებელი მანდატების გამარჯვებული პარტიისთვის გადაცემასთან ერთად, ძალაში დარჩება საპარლამენტო არჩევნებისთვის, პრეზიდენტი, ძალზე სავარაუდოა, რომ საპარლამენტო უმრავლესობის კანდიდატი იქნება. ეს შედეგი შეიცავს რისკს, რომ საფრთხე შეუქმნას პრეზიდენტის, როგორც სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის ნეიტრალური არბიტრის, (შეზღუდულ) როლს და შეასუსტოს კონტროლისა და წონასწორობის სისტემა, რომელიც შექმნილია კონსტიტუციური კანონპროექტით.⁴⁵

⁴³ იხ. <https://old.civil.ge/geo/article.php?id=31622> (27.09.2017);

⁴⁴ იქვე 53;

⁴⁵ ვენეციის კომისია, მოსაზრება 876, მოსაზრება 54, მიღებულია ვენეციის კომისიის მიერ 111-ე პლენარულ სხდომაზე (ვენეცია 2017 წლის 16-17 ივნისი) .იხ.<
<https://www.gdi.ge/uploads/other/0/620.pdf>>;

ცვლილებები შეეხო პრეზიდენტის ასაკობრივ ცენზსაც. საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 40 წლის ასაკიდან (ნაცვლად მანამდე არსებული 35 წლისა), რომელსაც საქართველოში უცხოვრია 15 წელი მაინც. თუმცა, კანდიდატს აღარ მოეთხოვება არჩევნებამდე ბოლო სამი წლის მანძილზე საქართველოში ცხოვრება.⁴⁶

ახალი კონსტიტუციის თანახმად ჩამოყალიბდება ეროვნული თავდაცვის საბჭო, რომლის წევრიც იქნება პრეზიდენტი. ეროვნული უშიშროების საბჭო, რომელიც „სამხედრო აღმშენებლობისა და ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაციისათვის“ იქმნება და რომელსაც, წინა კონსტიტუციით, საქართველოს პრეზიდენტი ხელმძღვანელობდა, აღარ იარსებებს. სანაცვლოდ, ახალი კონსტიტუციით, შეიქმნა ეროვნული თავდაცვის საბჭო, რომელიც საომარი მდგომარეობის დროს კონსტიტუციური ორგანოების საერთო კოორდინაციას განახორციელებს. ეროვნული თავდაცვის საბჭოს მუდმივი წევრები იქნებიან საქართველოს პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, პარლამენტის თავმჯდომარე და საქართველოს შეიარაღებული ძალების მეთაური.⁴⁷

ამასთანავე კონსტიტუციის 52-ე მუხლში განისაზღვრა პრეზიდენტის უფლებამოსილებები. „1. საქართველოს პრეზიდენტი:

ა) მთავრობის თანხმობით ახორციელებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს საგარეო ურთიერთობებში, აწარმოებს მოლაპარაკებებს სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს, იღებს სხვა სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ელჩების და სხვა დიპლომატიური წარმომადგენლების აკრედიტაციას; მთავრობის წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს ელჩებს და დიპლომატიური წარმომადგენლობების ხელმძღვანელებს;

⁴⁶ იხ. <<https://old.civil.ge/geo/article.php?id=31622>> (27.09.2017);

⁴⁷ იქვე გვ.1;

ბ) საქართველოს სახელმწიფოს სახელით დებს კონსტიტუციურ შეთანხმებას საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან;

გ) კონსტიტუციითა და ორგანული კანონით დადგენილი წესით ნიშნავს პარლამენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებს;

დ) მთავრობის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურს; ნიშნავს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ერთ წევრს; ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით მონაწილეობს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და წევრების თანამდებობაზე განწესებაში; მთავრობის წარდგინებით პარლამენტს ასარჩევად წარუდგენს ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების წევრობის კანდიდატებს;

ე) ორგანული კანონით დადგენილი წესით წყვეტს მოქალაქეობის საკითხებს;

ვ) შეიწყალებს მსჯავრდებულებს;

ზ) კანონით დადგენილი წესით ანიჭებს სახელმწიფო ჯილდოებსა და პრემიებს, უმაღლეს სამხედრო, სპეციალურ და საპატიო წოდებებს, უმაღლეს დიპლომატიურ რანგებს;⁴⁸

თ) უფლებამოსილია მთავრობის წარდგინებითა და პარლამენტის თანხმობით შეაჩეროს ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოს საქმიანობა ან დაითხოვოს იგი, თუ მისი მოქმედებით საფრთხე შეექმნა ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კონსტიტუციური უფლებამოსილებების განხორციელებას;

ი) ახორციელებს კონსტიტუციით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

⁴⁸ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონი, მიღების თარიღი: 23.03.2018, მუხლი 52;

2. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია პარლამენტის, მთავრობის ან არანაკლებ 200000 ამომრჩევლის მოთხოვნით დანიშნოს რეფერენდუმი კონსტიტუციითა და კანონით განსაზღვრულ საკითხებზე, მისი დანიშვნის მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში. არ შეიძლება რეფერენდუმის ჩატარება კანონის მისაღებად ან გასაუქმებლად, ამნისტიის ან შეწყალების გამო, საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირების ან დენონსირების შესახებ, აგრეთვე ისეთ საკითხზე, რომელიც ითვალისწინებს ადამიანის ძირითადი კონსტიტუციური უფლების შეზღუდვას. რეფერენდუმის დანიშვნასა და ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება ორგანული კანონით.

3. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია მიმართოს ხალხს. წელიწადში ერთხელ იგი პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას ქვეყნის მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.⁴⁹

⁴⁹ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონი, მიღების თარიღი: 23.03.2018, მუხლი 52;

თავი II. პრეზიდენტის ლეგიტიმაციის საკითხი ევროპულ სახელმწიფოებში

2.1 პრეზიდენტის ინსტიტუტის აღმოცენება და ისტორიული განვითარება ევროპაში

პრეზიდენტის ინსტიტუტის ჩამოყალიბება და განვითარება დაკავშირებულია ამერიკის შეერთებულ შტატებთან. მაგრამ სინამდვილეში მსოფლიოში პირველი პრეზიდენტი გახლდათ პასკალ პაოლი. „Filippo Antonio Pasquale de' Paoli“⁵⁰ არჩეულ იქნა კორსიკის რესპუბლიკის პრეზიდენტად 1755 წელს და მანვე შეიმუშავა რესპუბლიკის კონსტიტუცია. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ეს პიროვნება გახდა პრეზიდენტი 34 წლით ადრე, მანამ სანამ „ჯორჯ ვაშინგტონს“⁵¹ აირჩევდნენ ამერიკის პირველ პრეზიდენტად⁵².

პრეზიდენტის ინსტიტუტი საზოგადოებრივი თავყრილობის ხელმძღვანელთა სახით, ანტიკურ ხანაშიც არსებობდა და აშშ-ში კონსტიტუციონალიზმამდელ პერიოდში ზოგიერთი შტატის აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურიც იყო. ეს სახელწოდება ლათინური ტერმინის - „Presiedens“-ისგან წარმოდგება და სიტყვა სიტყვით, „წინ მჯდომს“ ნიშნავს. უნდა ვივარაუდოთ, რომ აშშ-ის მამა დამფუძნებლებმა, როგორც სახელმწიფოს პოლიტიკურ ლიდერს - მონარქის „მემკვიდრეს“ მართვა გამგეობის რესპუბლიკურ ფორმაში და შესაბამისად სახელმწიფოშიც სხვებზე „წინ მჯდომს“, ალბათ სწორედ აქედან გამომდინარე შეუფარდა ეს სახელწოდება 1787 წლის კონსტიტუციით ინსტიტუციონალიზირებულ პრეზიდენტს.⁵³

აშშ-ის შემდეგ მე-19 საუკუნეში ერთდროულად 1848 წელს ერთდროულად ინსტიტუციონალიზებული იქნა მხოლოდ ორ ევროპულ სახელმწიფოში - საფრანგეთსა და შვეიცარიაში. საფრანგეთის პრეზიდენტის ინსტიტუტი არ იყო

⁵⁰ კორსიკის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი, რომელიც არჩეულ იქნა თანამდებობაზე 1755 წელს;

⁵¹ ამერიკის პირველი პრეზიდენტი, თანამდებობაზე ყოფნის პერიოდი 1789-1797;

⁵² იხ<<https://www.quora.com/Who-was-the-first-president-in-the-world-history>>(თარგმანი ინგლისურიდან);

⁵³ ზ. ჯიბლაშვილი, სადისერტაციო კვლევა სახელწოდებით: პრეზიდენტის ინსტიტუტი საქართველოში და ევროპის ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში (შედარებითი ანალიზი), გვ.7;

აშშ-ის პრეზიდენტის კოპირებული ვერსია და პრაქტიკულად იმთავითვე დამკვიდრდა პრეზიდენტის ფრანგული ნაციონალური მოდელი. ორი უმთავრესი გარემოება რაც მას განასხვავებდა მსოფლიოს პირველი საპრეზიდენტო მოდელისაგან, ეს იყო არჩევის პირდაპირი წესი და მისი აქტების კონტრასიგნაციის მექანიზმი. შეიძლება ითქვას, რომ საფრანგეთის 1848 წლის 4 ნოემბრის კონსტიტუციამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თანამედროვე საპარლამენტო რესპუბლიკის იდეის თეორიულ წარმოშობასა და მის შემდგომ პრაქტიკულ დამკვიდრებაში. მრავალ ქვეყანაში პრეზიდენტის ინსტიტუტმა ნელ-ნელა დაიწყო სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე მონარქის ჩანაცვლება.⁵⁴

თუმცა მსოფლიოს ქვეყნების უდიდესი ნაწილი მე-19 საუკუნის მიწურულამდე ინარჩუნებდა მმართველობის მონარქიულ ფორმას. მე-20 საუკუნეში, პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, პრეზიდენტის ინსტიტუციონალიზაციის ტალღა წამოვიდა ევროპის სივრცეში. ეს ინსტიტუტი დამკვიდრდა ტურქეთის, ავსტრიისა და ვაიმარის რესპუბლიკებში, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში - პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ლიტვაში, ლატვიასა და ესტონეთში. შეიძლება ითქვას, პრეზიდენტალიზმის ინსტიტუციონალიზაციის მესამე ტალღა წამოვიდა 30-იან 40-იან წლებში, როდესაც მან მოიცვა აზიის ქვეყნებიც. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი ამ ქვეყნების ჯგუფს მიემატნენ ისლანდია, პორტუგალია, იტალია, საბერძნეთი, უნგრეთი, და სხვა.⁵⁵

⁵⁴ა. ჯიბლაშვილი, სადისერტაციო კვლევა სახელწოდებით: პრეზიდენტის ინსტიტუტი საქართველოში და ევროპის ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში (შედარებითი ანალიზი), გვ.7;
⁵⁵ იქვე, გვ.7-8;

2.2. პრეზიდენტის ლეგიტიმაციის საკითხი ევროპის წამყვან სახელმწიფოებში

პრეზიდენტის ლეგიტიმაციის საკითხი, ევროპის წამყვან სახელმწიფოებში სხვადასხვაგვარადაა დარეგულირებული სახელმწიფოების კანონმდებლობებით. ქვემოთ საუბარი მექნება ევროპული სახელმწიფოების დღესმოქმედ კანონმდებლობებზე. ევროპულ სახელმწიფოებში პრეზიდენტის ლეგიტიმაციის საკითხი თითქმის ერთი და იმავე უფლება-მოვალეობებით იფარგლება, მაგრამ არსებობს განმასხვავებელი ფაქტორებიც.

2.2.1. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკა

გერმანია გახლავთ კლასიკური ტიპის საპარლამენტო რესპუბლიკა, სადაც სახელმწიფო ხელისუფლება აგებულია ხელისუფლების დანაწილების სქემის მიხედვით, საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად.⁵⁶

საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანო პარლამენტი შედგება ორი პალატის ბუნდესტაგისა და ბუნდესრატისგან. ძირითადი კანონის მიხედვით, ბუნდესტაგი არის გერმანიის სახალხო წარმომადგენლობის ორგანო, რომელიც აირჩევა თავისუფალი, თანასწორი და ფარული კენჭისყრით, 4 წლის ვადით. დეპუტატის მანდატის მოსაპოვებლად დადგენილია მხოლოდ ასაკობრივი ცენზი. დეპუტატები სარგებლობენ თავისუფალი მანდატით, არ არიან შეზღუდული დავალებებით და მითითებებით, ემორჩილებიან მხოლოდ საკუთარ სინდისს.⁵⁷

ძირითადი კანონის მიხედვით, პრეზიდენტს, მთავრობის წინადადებით, შეუძლია გარკვეული პირობების არსებობისას, ბუნდესტაგის მიერ უარყოფილ კანონპროექტებთან მიმართებით, გამოაცხადოს ე.წ „საკანონმდებლო საჭიროების მდგომარეობა“, რომლის მოქმედების პერიოდში, თუ ბუნდესტაგი ისევ უარყოფს კანონპროექტს, ან მიიღებს მას ფედერალური მთავრობისათვის მიუღებელი

⁵⁶ კავშირი „იურისტები სამართლებრივი სახელმწიფოსთვის“, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, შემდგენელთა ჯგუფის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი: გონაშვილი ვ. ნაწილი მე-3, 2006 წ. გვ.57;

⁵⁷ იქვე, გვ.59;

რედაქციით, კანონის ძალაში შესვლისთვის საკმარისია მისი დამტკიცება ბუნდესრატის მიერ.⁵⁸

ბუნდესრატი არის გერმანიის გერმანიის პარლამენტის ზედა პალატა. მისი დაკომპლექტების წესიდან და შეზღუდული კონსტიტუციური უფლებამოსილებიდან გამომდინარე, ზოგიერთი მეცნიერი ბუნდესრატს არც კი მიიჩნევს პარლამენტის პალატად, თუმცა, ამ პალატას გააჩნია ზოგიერთი ბერკეტი, რის გამოც შეიძლება მისი საკანონმდებლო უფლებამოსილების მქონდე ორგანოდ განხილვა. ბუნდესრატის ფორმირების წესი განსხვავდება ბუნდესტაგის ფორმირების წესისგან. იგი შედება ოლქების მთავრობების მიერ დანიშნული წევრებისაგან. ძირითადი კანონი მის წევრთა საერთო რაოდენობას არ განსაზღვრავს. მასში ოლქების წარმომადგენელთა რაოდენობა დამოკიდებულია მათ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობაზე. ყოველ ოლქს ჰყავს 3-6 წარმომადგენელი. მიუხედავად იმისა, თუ რამდენი წარმომადგენელი ჰყავს ოლქს მათ მიერ მიცემული ხმა ერთ ხმად ითვლება.⁵⁹

გარდა ბუნდესტაგისა და ბუნდესრატისა, გერმანიის ძირითადი კანონი ითვალისწინებს ერთობლივი კომიტეტის არსებობასაც. კომიტეტის 2/3 შედგება ბუნდესტაგის, ხოლო 1/3 ბუნდესრატის წევრებისაგან. აღნიშნული კომიტეტი თავდაცვის მდგომარეობის დროს ცვლის ბუნდესტაგს და ბუნდესრატს და ერთიანი ორგანოს სახით ახორციელებს მათ უფლებამოსილებებს.⁶⁰

გერმანიის ფედერალური პრეზიდენტი არის სახელმწიფოს მეთაური, რომელიც აიჩევა 5 წლის ვადით სპეციალურად ამ მიზნით შეკრებილი ორგანოს ფედერალური კრების მიერ ხმათა უმრავლესობით. პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნეს ნებისმიერ გერმანელი, რომელსაც აქვს ბუნდესტაგში არჩევის უფლება. ფედერალური კრება შედგება ბუნდესტაგის წევრებისაგან და ოლქების

⁵⁸ კავშირი „იურისტები სამართლებრივი სახელმწიფოსთვის“, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, შემდგენელთა ჯგუფის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი: გონაშვილი ვ. ნაწილი მე-3, 2006 წ. გვ.59;

⁵⁹ იქვე. გვ.59;

⁶⁰ იქვე. გვ.59;

სახალხო წარმომადგენლობების მიერ პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეული ამავე რაოდენობის წევრებისაგან.⁶¹

პრეზიდენტი წარმოადგენს სახელმწიფოს საერთაშორისო ურთიერთობებში, ქვეყნის სახელით დებს ხელშეკრულებებს საზღვარგარეთის სახელმწიფოებთან, ახდენს ელჩების აკრედიტაციას და მიღებას, თუ კანონით სხვა რამ არის გათვალისწინებული, ნიშნავს და ათავისუფლებს ფედერალური მოსამართლეებს, ფედერალურ მოხელეებს და სხვ. ახორციელებს შეწყალების უფლებას, კანონების გამოქვეყნებამდე ამოწმებს კონსტიტუციასთან მათი შესაბამისობის საკითხს.⁶²

პრეზიდენტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა ბუნდესტაგისათვის ფედერალური კანცლერის კანდიდატურის წარდგენა, ხოლო შემდგომ კანცლერის წინადადებით ფედერალური მინისტრების დანიშვნა. პრეზიდენტის ასევე უფლებამოსილია ბუნდესტაგის მიერ კანცლერისათვის ნდობის გამოუცხადებლობის შემთხვევაში კანცლერის წინადადებით დაითხოვოს ბუნდესტაგი.⁶³

ძირითადი კანონი ითვალისწინებს პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების შესაძლებლობას. კერძოდ ბუნდესტაგს ან ბუნდესრატს შეუძლიათ, პრეზიდენტის მიერ ძირითადი კანონის ან სხვა ფედერალური კანონის განზრახ დარღვევის შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოში აღძრან ბრალდება პრეზიდენტის წინააღმდეგ. ეს წინადადება წარდგენილი უნდა იქნეს ბუნდესტაგის წევრთა არანაკლებ 1/4-ის სახელით. გადაწყვეტილება ბრალდების წაყენების თაობაზე მიიღება ბუნდესტაგის წევრთა 2/3-ის ან ბუნდესრატის ხმათა 2/3-ის უმრავლესობით.⁶⁴

აღსანიშნავია, რომ შეზღუდულია პრეზიდენტის მიერ სამართლებრივი აქტების გამოცემისას მისი პასუხისმგებლობა. ძირითადი კანონის მიხედვით,

⁶¹ კავშირი „იურისტები სამართლებრივი სახელმწიფოსთვის“, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, შემდგენელთა ჯგუფის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი: გონაშვილი ვ. ნაწილი მე-3, 2006 წ. გვ.59;

⁶² იქვე, გვ.60;

⁶³ იქვე, გვ.60;

⁶⁴ იქვე, გვ.60;

პრეზიდენტის ბრძანებულებები და განკარგულებები საჭიროებს კანცლერის ან შესაბამისი კომპეტენტური მინისტრის თანახელმოწერას.⁶⁵

გერმანიაში აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს ფედერალური მთავრობა, რომელიც შედგება კანცლერისა და მინისტრებისგან. მთავრობაში ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს კანცლერი, რომელსაც პრეზიდენტის წინადადებით ირჩევს ბუნდესტაგი. კანცლერი განსაზღვრავს პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს და პასუხისმგებელია მათზე. მთავრობა ახლორციელებს ზედამხედველობას ოლქების მიერ ფედერალური კანონების შესრულებაზე, ასევე მას შეიძლება მიენიჭოს უფლება, ფედერალური კანონების შესრულებასთან დაკავშირებით ოლქების უმაღლეს ორგანოებს მისცეს კონკრეტული მითითებები.⁶⁶

⁶⁵ კავშირი „იურისტები სამართლებრივი სახელმწიფოსთვის“, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, შემდგენელთა ჯგუფის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი: გონაშვილი ვ. ნაწილი მე-3, 2006 წ. გვ. 60;

⁶⁶ იქვე, გვ.60;

2.2.2. იტალიის რესპუბლიკა

სახელმწიფო ორგანოთა უფლებამოსილების განაწილების მხრივ იტალია წარმოადგენს საპარლამენტო რესპუბლიკას, თუმცა კონსტიტუციაში ამის შესახებ პირდაპირ არ არის მითითებული. ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა პარლამენტი, რომელიც შედგება დეპუტატთა პალატისა და რესპუბლიკის სენატისაგან.⁶⁷

პალატები საკანონმდებლო უფლებამოსილებას ახორციელებენ ცალ-ცალკე. ისინი ერთობლივ სხდომაზე იკრიბებიან მხოლოდ კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევებში: პრეზიდენტის არჩევა, მის მიერ ფიცის დადება, პრეზიდენტის იმპიჩმენტის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს ნაწილის არჩევა, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა ნაწილის არჩევა. სხვა რაიმე შემთხვევას, როდესაც პალატები შეიძლება ერთად შეიკრიბონ, თუნდაც კანონპროექტთან დაკავშირებით შეუთანხმებულობის შემთხვევაში, კონსტიტუცია არ ითვალისწინებს.⁶⁸

ქვედა დეპუტატთა პალატა აირჩევა საყოველთაო და პირდაპირი კენჭისყრით 5 წლის ვადით. მის შემადგენლობაშია 630 წევრი.⁶⁹

რესპუბლიკის სენატი აირჩევა რეგიონების საფუძველზე, გარდა საზღვარგარეთის საარჩევნო ოლქისთვის მიკუთვნებული ადგილებისა. სენატის შემადგენლობაშია 315 წევრი. სენატორები აირჩევიან საყოველთაო და პირდაპირი კენჭისყრით 21 წლის ასაკს მიღწეულ ამომრჩეველთა მიერ. სენატორებად შეიძლება აირჩეს 40 წლის ასაკს მიღწეული ამომრჩეველი. გარდა ამისა რესპუბლიკის ყოველი ყოფილი პრეზიდენტი საკუთარი უფლებით და სიცოცხლის ვადით არის სენატორი, თუ თვითონ არ იტყვის ამაზე უარს. ამასთან პრეზიდენტმა შეიძლება სიცოცხლის ვადით სენატორად დანიშნოს 5 მოქალაქე, რომელთაც სამშობლოს სახელი გაუთქვეს გამორჩეული მიღწევებით სოციალურ,

⁶⁷ კავშირი „იურისტები სამართლებრივი სახელმწიფოსთვის“, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, შემდგენელთა ჯგუფის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი: გონაშვილი ვ. , მე-5 ნაწილი, 2007 წ. გვ. 313;

⁶⁸ იქვე, გვ. 313;

⁶⁹ იქვე, გვ. 313;

სამეცნიერო, შემოქმედებით და ლიტერატურულ სფეროებში. სენატიც აირჩევა 5 წლის ვადით.⁷⁰

თითოეული პალატა თავის წევრთაგან ირჩევს თავმჯდომარესა და ბიუროს. როდესაც პარლამენტი შეკრებილია ერთობლივ სხდომაზე, თავმჯდომარედ და ბიუროდ ითვლება დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე და ბიურო.⁷¹

ხოლო რაც შეეხება რესპუბლიკის პრეზიდენტს, იგი არის სახელმწიფოს მეთაური და უზრუნველყოფს ეროვნულ მთლიანობას. ისევე, როგორც სხვა კლასიკური ტიპის საპარლამენტო რესპუბლიკებში, მას ირჩევს პარლამენტი ერთობლივ სხდომაზე. გარდა პარლამენტის წევრებისა, არჩევნებში ასევე მონაწილეობს ყოველი რეგიონული საბჭოს მიერ, უმცირესობათა წარმომადგენლობის უზრუნველყოფით, არჩეული 3-3 დელეგატი. ვალე დ აოსტას ჰყავს ერთი დელეგატი. ამდენად დელეგატთა საერთო რაოდენობა შეადგენს 1003 დელეგატს. პრეზიდენტის არჩევა ხდება ფარული კენჭისყრით კრების წევრთა 2/3-ის უმრავლესობით. თუმცა მესამე კენჭისყრის შემდეგ საკმარისია აბსოლიტური უმრავლესობა. გამომდინარე იქიდან, რომ ხშირად არც ერთ პარტიას არ გააჩნია ხმათა საკმარისი რაოდენობა, ხშირად ტარდება რამდენიმე ტური, სანამ არ აირჩევა პრეზიდენტი. მაგალითად, 1978 და 1992 წლებში პრეზიდენტის ასარჩევად ჩატარდა 16-16 ტური.⁷²

რესპუბლიკის პრეზიდენტი შეიძლება აირჩეს 50 წლის ასაკს მიღწეული ნებისმიერ მოქალაქე, რომელიც სარგებლობს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით. იგი აირჩევა 7 წლის ვადით.⁷³

პრეზიდენტის უფლებამოსილება და შესაბამისად მისი პასუხისმგებლობაც საკმაოდ ვიწროა. მისი უფლებები ძირითადად ფორმალურ ხასიათს ატარებს და სავალდებულო განხორციელებასთან არის დაკავშირებული. მაგალითად იგი ნიშნავს ახალი პალატების არჩევნებს და განსაზღვრავს პირველი სხდომის დღეს;

⁷⁰ კავშირი „იურისტები სამართლებრივი სახელმწიფოსთვის“, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, შემდგენელთა ჯგუფის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი: გონაშვილი ვ. , მე-5 ნაწილი, 2007 წ. გვ. 314;

⁷¹ იქვე, გვ.314;

⁷² იქვე, გვ.316;

⁷³ იქვე, გვ. 317;

უფლებას ანიჭებს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტების პალატებისთვის წარდგენაზე; ხელს აწერს კანონებს, ასევე რეგლამენტებს; კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მაგრამ არა საკუთარი ინიციატივით, ნიშნავს ეროვნულ რეფერენდუმს; ახდენს დიპლომატიური წარმომადგენლობის აკრედიტაციას და იღებს მათ. სხვა უფლებამოსილებას იგი პარლამენტთან ან მთავრობასთან ერთად და მათი პასუხისმგებლობით ახორციელებს. პრეზიდენტის არცერთ აქტს არ გააჩნია ძალა, თუ არ არის ხელმოწერილი მისი წარმდგენი მინისტრების მიერ, რომლებიც მასზე არიან პასუხისმგებელნი. კანონის ძალის მქონდე აქტებსა და კანონში აღნიშნულ სხვა აქტებს ასევე ხელს აწერს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.⁷⁴

პრეზიდენტი ზოგიერთი საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიკაციას ახორციელებს დამოუკიდებლად, ხოლო შესაბამის შემთხვევებში პალატების წინასწარი თანხმობით, არის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, ხელმძღვანელობს თავდაცვის უმაღლეს საბჭოს, პალატების თანხმობით აცხადებს ომს; ხელმძღვანელობს მაგისტრატურის უმაღლეს საბჭოს; შეიწყალებს და სასჯელს უმცირებს მსჯავრდებულთ; ანიჭებს რესპუბლიკის ღირსების ორდენებს.⁷⁵

საკანონმდებლო ორგანოზე პრეზიდენტის ყველაზე მნიშვნელოვან ბერკეტს პალატების დათხოვნა წარმოადგენს. მას გააჩნია ორივე მათგანის ან ერთ-ერთის დათხოვნის უფლება. კონსტიტუცია არ ადგენს დეტალურ ჩამონათვალს თუ რა შემთხვევებში გააჩნია მას ეს უფლება, თუმცა განსაზღვრავს, თუ როდის არ შეუძლია გამოიყენოს იგი. ეს შემთხვევაა თვისი უფლებამოსილების ბოლო 6 თვე, თუმცა თუ ეს პერიოდი სრულად ან ნაწილობრივ ემთხვევა პარლამენტის უფლებამოსილების ბოლო 6 თვეს, მას დათხოვნის უფლება მაინც გააჩნია.⁷⁶

პრეზიდენტი არ არის პასუხისმგებელი თავისი ფუნქციების შესრულების დროს ჩადენილი ქმედებისთვის, გარდა სახელმწიფო ღალატის ან

⁷⁴ კავშირი „იურისტები სამართლებრივი სახელმწიფოსთვის“, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, შემდგენელთა ჯგუფის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი: გონაშვილი ვ. , მე-5 ნაწილი, 2007 წ. გვ. 317;

⁷⁵ იქვე, გვ.317;

⁷⁶ იქვე, გვ.317-318;

კონსტიტუციის საწინააღმდეგო ქმედებისა. ამგვარ შემთხვევებში პარლამენტი ერთობლივ სხდომაზე, წევრთა ხმების აბსოლიტური უმრავლესობით, იღებს პრეზიდენტის იმპიჩმენტის შესახებ გადაწყვეტილებას.⁷⁷

როდესაც პრეზიდენტს არ შეუძლია თავისი უფლებამოსილების განხორციელება მას ახორციელებს სენატის თავმჯდომარე. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნიშნავს პრეზიდენტი, ხოლო მინისტრები ინიშნებიან პრეზიდენტის მიერ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით. თუმცა შემდგომ 10 დღის ვადაში მთავრობამ უნდა მიიღოს ორივე პალატის ნდობა.⁷⁸

⁷⁷ კავშირი „იურისტები სამართლებრივი სახელმწიფოსთვის“, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, შემდგენელთა ჯგუფის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი: გონაშვილი ვ. ნაწილი მე-5, 2007 წ. გვ. 318;

⁷⁸ იქვე, გვ. 318;

2.2.3 ლატვიის რესპუბლიკა

ლატვიის კონსტიტუცია ლაკონური კონსტიტუციების რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ. იგი შედგება მცირე მოცულობის 116 მუხლისა და 8 თავისაგან. არ შეიცავს პრეამბულას და გარდამავალ დებულებებს.⁷⁹

კონსტიტუციის თანახმად ლატვია არის დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა, სახელმწიფოს სუვერენული ხელისუფლება ეკუთვნის ლატვიელ ხალხს. კონსტიტუცია ითვალისწინებს საერთაშორისო ხელშეკრულებების დადებისას, დემოკრატიის განმტკიცების მიზნით, სახელმწიფო დაწესებულებების რატიფიცირებას ახორციელებს სეიმი წევრთა არანაკლებ 2/3-ის მონაწილეობისას, დამსწრეთა 2/3-ის თანხმობით.⁸⁰

ლატვია არის საპარლამენტო რესპუბლიკა. საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს პარლამენტი, რომელსაც ისტორიული სახეწოდება სეიმი ეწოდება და რომელიც შედგება ხალხის 100 წარმომადგენლისაგან. იგი აირჩევა 4 წლის ვადით საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით პროპორციული წარმომადგენლობის საფუძველზე. ოლქიდან ასარჩევ დეპუტატთა რიცხვი განისაზღვრება თითოეული ოლქის ამომრჩეველთა რაოდენობის პროპორციულად.⁸¹

ქვეყნის მეთაურია პრეზიდენტი, რომელსაც ისევე როგორც სხვა კლასიკურ საპარლამენტო რესპუბლიკებში, ირჩევს სეიმი. იგი აირჩევა 4 წლის ვადით, ფარული კენჭისყრით, სეიმის არანაკლებ 51 წევრის ხმათა უმრავლესობით. პრეზიდენტად შეიძლება აირჩს 40 წლის ასაკს მიღწეული მოქალაქის სრული უფლებით აღჭურვილი პირი. 1997 წელს განხორციელებული ცვლილების თანახმად არ შეიძლება აირჩეს ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირი.⁸²

პრეზიდენტის თანამდებობა შეუთავსებელია ნებისმიერ სხვა თანამდებობასთან. თუ პრეზიდენტად არჩეული პირი სეიმის წევრია, მან უნდა

⁷⁹ კავშირი „იურისტები სამართლებრივი სახელმწიფოსთვის“, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, შემდგენელთა ჯგუფის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი: გონაშვილი ვ. ნაწილი პირველი. 2008წ. გვ. 292;

⁸⁰ იქვე. გვ.292;

⁸¹ იქვე. გვ. 292-293;

⁸² იქვე. გვ. 296;

მოიხსნა სეიმის წევრის უფლებამოსილება. ერთსა და იმავე პირს არ შეიძლება ეკავოს პრეზიდენტის თანამდებობა ზედიზედ რვა წელზე მეტი ვადით.⁸³

პრეზიდენტი არ არის აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური და მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციებით შემოიფარგლება. მის უფლებამოსილებას საერთაშორისო სფეროში განეკუთვნება: სახელმწიფოს წარმოდგენა საერთაშორისო ურთიერთობებში, დიპლომატიური წარმომადგენლობის დანიშვნა, სხვა სახელმწიფოების დიპლომატიური წარმომადგენლების მიღება, სეიმის საერთაშორისო შეთანხმებების რატიფიკაციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების შესრულება.⁸⁴

პრეზიდენტს უფლებამოსილება გააჩნია სამხედრო სფეროშიც, იგი არის ლატვიის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, ომის დროს ნიშნავს უმაღლეს მთავარსარდალს, სეიმის გადაწყვეტილების საფუძველზე აცხადებს ომს, ასევე უფლებამოსილია მიიღოს სახელმწიფოს სამხედრო თავდაცვისათვის აუცილებელი ზომები, თუ სხვა სახელმწიფო ომს გამოუცხადებს ლატვიას ან თუ თავდამსხმელი ხელყოფს ლატვიის საზღვრებს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში პრეზიდენტი აუცილებლად იწვევს სეიმს დაუყოვნებლივ, რომელმაც უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ომის გამოცხადებისა და დაწყების შესახებ.⁸⁵

პრეზიდენტს აქვს საკანონმდებლო ინიციატივის, შეწყალების, კაბინეტის საგანგებო სხდომების მოწვევისა და წარმართვის და ამგვარ სხდომათა დღის წესრიგის განსაზღვრის უფლება.⁸⁶

თავისებურად ხასიათდება სეიმის დათხოვნის მექანიზმი. მართალია სეიმის დათხოვნის თაობაზე წინადადების წარდგენის უფლება პრეზიდენტს გააჩნია, მაგრამ დათხოვნის შემდეგ უნდა ჩატარდეს რეფერენდუმი. თუ რეფერენდუმში მონაწილე ამომრჩეველთა ნახევარზე მეტი დათხოვნის მომხრეა, სეიმის დათხოვნილად ითლება და ინიშნება ახალი არჩევნები, რომელიც უნდა

⁸³ კავშირი „იურისტები სამართლებრივი სახელმწიფოსთვის“, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, შემდგენელთა ჯგუფის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი: გონაშვილი ვ. ნაწილი პირველი. 2008წ. გვ. 296;

⁸⁴ იქვე, გვ.296;

⁸⁵ იქვე, გვ.296;

⁸⁶ იქვე, გვ.296;

ჩატარდეს სეიმის დათხოვნის დღიდანა არა უგვიანეს 2 თვეში, ხოლო იმ შემთხვევაში თუ რეფერენდუმში მონაწილე ამომრჩეველთა ნახევარზე მეტი სეიმის დათხოვნის წინააღმდეგია, მაშინ თანამდებობიდან გადაყენებულად ჩაითვლება პრეზიდენტი და სეიმი გადაყენებულ პრეზიდენტის უფლებამოსილების დარჩენილი ვადით ირჩევს ახალ პრეზიდენტს. ამდენად, პრეზიდენტი შეზღუდულია საკანონმდებლო ორგანოს დათხოვნით, რამდენადაც ამ პროცედურის წამოწყებამ შესაძლოა მისივე გადაყენება გამოიწვიოს. აღნიშნულ მექანიზმში მნიშვნელოვანია ისიც, რომ ხელუსეფლების შტოებს შორის პოლიტიკური დავის არსებობისას საბოლოო სიტყვა მაინც ხალხს ეკუთვნის. კონსტიტუცია არ იცნობს სეიმის მიერ თვითდათხოვნის მექანიზმს.⁸⁷

პრეზიდენტს არ ეკისრება პოლიტიკური პასუხისმგებლობა საპრეზიდენტო უფლებამოსილების განხორციელებაზე. პრეზიდენტის ყველა აქტს ამავედროულად ხელს უნდა აწერდეს პრემიერ-მინისტრი ან შესაბამისი მინისტრი, რომელსაც ეკისრება სრული პასუხისმგებლობა. თუმცა ეს არ ნიშნავს იმპიჩმენტის უგულებელყოფას. იმპიჩმენტის აღძვრის უფლება აქვს სეიმის წევრთა არანაკლებ ნახევრს, ხოლო გადაწყვეტილება მიიღება სეიმის წევრთა არანაკლებ 2/3-ით. ამასთან, სეიმის წევრთა ამავე უმრავლესობის თანხმობით პრეზიდენტი შეიძლება დაექვემდებაროს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.⁸⁸

პრეზიდენტის გადადგომის, გარდაცვალების, თანამდებობიდან გადაყენების, ლატვიაში არ ყოფნის ან სხვა მიზეზით, თუ პრეზიდენტს არ შეუძლია უფლებამოსილების განხორციელება, მის მოვალეობებს დროებით ახორციელებს სეიმის თავმჯდომარე.⁸⁹

⁸⁷ კავშირი „იურისტები სამართლებრივი სახელმწიფოსთვის“, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, შემდგენელთა ჯგუფის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი: გონაშვილი ვ. ნაწილი პირველი. 2008წ. გვ. გვ. 296-297;

⁸⁸ იქვე, გვ.297;

⁸⁹ იქვე, გვ.297;

პრეზიდენტმა უნდა გამოაქვეყნოს სეიმის მიერ მიღებული კანონები მიღებიდან არანაკლებ 10 და არა უმეტეს 21-ე დღისა. კანონი ძალაში შედის მისი გამოქვეყნებიდან მე -14 დღეს, თუ მასში სხვა ვადა არ არის მითითებული.⁹⁰

კანონის ძალაში შესვლის დროებით შესაჩერებლად პრეზიდენტს გააჩნია სუსტი, მაგრამ ბალანსის დაცვის მიზნით აუცილებელი გარკვეული ბერკეტები. მას არ გააჩნია დამოუკიდებლად ვეტოს დადების უფლება, ვეტოს ინიციატივა უნდა მომდინარეობდეს სეიმის თავმჯდომარიდან, რის შედეგად პრეზიდენტს შეუძლია მოითხოვოს მიღებული კანონის გადასინჯვა და არა უფრო დიდი უმრავლესობით ვეტოს გადალახვა. თუ სეიმი არ შეცვლის კანონს, პრეზიდენტს აღარ აქვს იმავე წინადადებით მეორედ მიმართვის უფლება. თუ სეიმი მიიღებს გადაწყვეტილებას არანაკლებ 2/3-ის უმრავლესობით, რომ კანონი არის სასწრაფო, პრეზიდენტს არ შეუძლია მოითხოვოს მისი გადასინჯვა.⁹¹

ამ მხრივ ასევე ინტერესს იწვევს პრეზიდენტის უფლება, 2 თვით შეაჩეროს კანონის გამოქვეყნება. პრეზიდენტი ვალდებულია შეაჩეროს კანონის გამოქვეყნება საკუთარი ან სეიმის წევრთა არანაკლებ 1/3-ის ინიციატივით. თუმცა, ამომრჩეველთა არანაკლებ 1/10-ის მოთხოვნით ამგვარად შეჩერებული კანონი გაიტანება რეფერენდუმზე. რეფერენდუმი არ ტარდება თუ სეიმი ხელახლა უყრის კენჭს კანონს და ე.წ შეჩერებით ვეტოს გადალახავს სეიმის სრული შემადგენლობის არანაკლებ 3/4-ით.⁹²

⁹⁰ კავშირი „იურისტები სამართლებრივი სახელმწიფოსთვის“, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, შემდგენელთა ჯგუფის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი: გონაშვილი ვ. ნაწილი პირველი. 2008წ. გვ. 295;

⁹¹ იქვე, გვ.295;

⁹² იქვე, გვ.295;

2.2.4. ჩეხეთის რესპუბლიკა

ჩეხეთის რესპუბლიკაში ხელისუფლების წყაროს წარმოადგენს ხალხი. მმართველობა ხორციელდება საკანონდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებების მეშვეობით.⁹³

საკანონდებლო ხელისუფლებას ახორციელებს ორ პალატიანი პარლამენტი, რომლის ზედა პალატაა სენატი ხოლო ქვედა დეპუტატთა პალატა.⁹⁴

დეპუტატთა პალატა შედგება 4 წლის ვადით ფარული კენჭისყრით საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპის შესაბამისად არჩეული 200 დეპუტატისგან, ხოლო სენატი ფარული კენჭისყრით, საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, მაჟორიტარული სისტემის შესაბამისად 6 წლის ვადით არჩეული 81 სენატორისგან. ამასთან ყოველ ორ წელიწადში ხდება სენატორთა 1/3-ის განახლება.⁹⁵

კონსტიტუციის თანახმად ისევე, როგორც სხვა კლასიკურ საპარლამენტო რესპუბლიკებში, რესპუბლიკის პრეზიდენტი არის სახელმწიფოს მეთაური და არ არის აღჭურვილი აღმასრულებელი ხელისუფლებით. მას ირჩევს პარლამენტი პალატების ერთობლივ სხდომაზე 5 წლის ვადით. პრეზიდენტი თავისი უფლებასმოსილების განხორციელებაზე არ არის ანგარიშვალდებული.⁹⁶

პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს მოქალაქე, რომელიც აკმაყოფილებს სენატში ასარჩევად წაყენებულ მოთხოვნებს, ანუ პირი უნდა იყოს საარჩევნო უფლების მქონე, 40 წლის ასაკს მიღწეული ჩეხეთის მოქალაქე. დაბებით მოქალაქეობა არ არის სავალდებულო. არავინ არ შეიძლება არჩეული იყოს ზედიზედ ორზე მეტჯერ.⁹⁷

პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის უფლება აქვს არანაკლებ 10 დეპუტატსა და არანაკლებ 10 სენატორს. არჩეული იქნება კანდიდატი, რომელსაც

⁹³ კავშირი „იურისტები სამართლებრივი სახელმწიფოსთვის“, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, შემდგენელთა ჯგუფის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი: გონაშვილი ვ. ნაწილი პირველი. 2008წ. გვ. 628;

⁹⁴ იქვე, გვ.628;

⁹⁵ იქვე, გვ.626-627;

⁹⁶ იქვე, გვ. 632;

⁹⁷ იქვე, გვ.632;

მხარეს დაუჭერს დეპუტატთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი. თუ ვერც ერთი კანდიდატი ვერ მოაგროვებს ხმათა საჭირო რაოდენობას, საუკეთესო შედეგის მქონე ორ კანდიდატს შორის ტარდება მეორე ტური, ხოლო თუ საჭიროა მესამე ტურიც. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით. თუ პრეზიდენტი ვერც მესამე ტურში აირჩა ტარდება ხელახალი არჩევნები. პრეზიდენტი ფიცს დებს პალატის ერთობლივ სხდომაზე, რომელსაც უძღვება დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე.⁹⁸ ყოველივე ზემოაღნიშნული კანონმდებლობა ხორციელდებოდა 2012 წლამდე. 2012 წლის შემდეგ ჩეხეთის რესპუბლიკაში შეიცვალა პრეზიდენტის არჩევის წესი და დღეს პრეზიდენტი ირჩევა პირდაპირი გზით ფარული კენჭისყრის საფუძველზე. ყოველივე ამან გამოიწვია ის, რომ 2013 წელს არჩეულმა პრეზიდენტმა ისარგებლა იმით, რომ ის გახლდათ ხალხის მიერ პირდაპირი წესით არჩეული და იმ საფუძველით, რომ ის წარმოადგენდა ხალხის ხმას ხელისუფლებაში, ხშირად ქმნიდა პოლიტიკურ დამაბულობას სახელმწიფოში.

კონსტიტუციაში სპეციალურად არის გაწერილი პრეზიდენტის უფლება გადადგომის თაობაზე. გადადგომის შესახებ პრეზიდენტმა უნდა განუცხადოს პალატის თავმჯდომარეს.⁹⁹

პრეზიდენტის უფლებამოსილება მოიცავს უმაღლეს მთავარსარდლობასთან ერთად ასევე: არჩევნების დანიშვნას, პატიმრებისთვის სასჯელის შემსუბუქებასა და დეპუტატთა პალატის დათხოვნასთან დაკავშირებულ საკითხებს. ასევე მას შეუძლია მიიღოს გარკვეული საკადრო გადაწყვეტილებები: დანიშნოს და გაანთავისუფლოს მთავრობის წევრები, დანიშნოს კონტროლის უზენაესი სამსახურის თავმჯდომარე და მისი მოადგილე, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები, თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილეები, მოსამართლეები, ეროვნული ბანკის საბანკო საბჭოს წევრები, უზენაესი

⁹⁸ კავშირი „იურისტები სამართლებრივი სახელმწიფოსთვის“, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, შემდგენელთა ჯგუფის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი: გონაშვილი ვ. ნაწილი პირველი. 2008წ. გვ. 632-633;

⁹⁹ იქვე, გვ.633;

სასამართლოს მოსამართლეთაგან დანიშნოს მისი თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილეები.¹⁰⁰

პრეზიდენტი სარგებლობს ფართო იმუნიტეტით. არ შეიძლება მისი დაკავება, სისხლისსამართლებრივი დევნა, ასევე გადაცდომის ან სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის დევნა. პრეზიდენტობის პერიოდში ჩადენილი ქმედებებისთვის სისხლისსამართლებრივი დევნა წყდება სამუდამოდ. პრეზიდენტი სახელმწიფო დალატის შემთხვევაში შეიძლება მიცემული იქნეს პასუხისგებაში მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს და სენატის მიერ წაყენებული ბრალდების საფუძველზე.¹⁰¹

თავისებურია ჩეხეთში პრეზიდენტის თანამდებობის ვაკანსიის დროს მისი უფლებამოსილების განხორციელების საკითხი. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ თუ სერიოზული მიზეზების გამო პრეზიდენტს არ შეუძლია თავისი ფუნქციების განხორციელება, ეს ფაქტი უნდა დაადასტუროს დეპუტატთა პალატამ და სენატმა დადგენილებით, ხოლო შემდგომ მისი უფლებამოსილების ნაწილს დროებით ახორციელებს მთავრობის თავმჯდომარე, ნაწილს დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე, ხოლო ნაწილის განხორციელების უფლება არავის არ აქვს. მაგალითად ამ პერიოდში მთავრობის თავმჯდომარე ახორციელებს საგარეო და დიპლომატიურ ურთერთობებს, არის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, ნიშნავს მოსამართლეებს და აცხადებს ამნისტიას. დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე ნიშნავს და გამოიწვევს მთავრობის ხეკმძღვანელსა და მინისტრებს, იწვევს დეპუტატთა პალატის სესიას და ითხოვს დეპუტატთა პალატას, ნიშნავს საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობასა და ეროვნული ბანკის საბანკო საბჭოს წევრებს, ასევე რეფერენდუმს საკითხზე: ჩეხეთის რესპუბლიკის ევროკავშირში შესვლასთან დაკავშირებით. ხოლო უფლებამოსილების ნაწილი რაც მოიცავს უზენაესი სასამართლოსა და კონსტროლის უზენაესი სამსახურის თავმჯდომარისა და მისი მოადგილეების დანიშვნას, შეწყალებას, სასჯელის შემსუბუქებას,

¹⁰⁰ კავშირი „იურისტები სამართლებრივი სახელმწიფოსთვის“, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, შემდგენელთა ჯგუფის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი: გონაშვილი ვ. ნაწილი პირველი. 2008წ. გვ. 633;

¹⁰¹ იქვე, გვ.633;

ნასამართლეობის მოხსნას, ვეტოს დადებას, კანონზე ხელმოწერას, გენერლის წოდების მინიჭებას, დეპუტატთა პალატისა და სენატის არჩევნების დანიშვნას, არც ერთ პირს არ შეუძლია განახორციელოს. თუ რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობა ვაკანტური გახდება დეპუტატთა პალატის დათხოვნის პერიოდში, პრეზიდენტის ზემოხსენებულ უფლებასმოსილებას ახორციელებს სენატის თავმჯდომარე.¹⁰²

პრეზიდენტი ნიშნავს მთავრობის თავმჯდომარეს, ხოლო მისი წარდგინებით მთავრობის სხვა წევრებს. დანიშვნიდან არა უმეტეს 30 დღეში მთავრობას ნდობა უნდა გამოუხადოს დეპუტატთა პალატამ. თუ მეორედ წარმოდგენის შემთხვევაშიც ვერ მიიღებს მთავრობა ნდობას, პრეზიდენტი დეპუტატთა პალატის თავმჯდომარის წინადადებით ნიშნავს მთავრობის თავმჯდომარეს.¹⁰³

პრეზიდენტი მთავრობის თავმჯდომარის წინადადებით ათავისუფლებს მთავრობის სხვა წევრებს. მთავრობის თავმჯდომარე გადადგომის შესახებ განცხადებას წარუდგენს პრეზიდენტს.¹⁰⁴

¹⁰² კავშირი „იურისტები სამართლებრივი სახელმწიფოსთვის“, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, შემდგენელთა ჯგუფის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი: გონაშვილი ვ. ნაწილი პირველი. 2008წ. გვ. 633-634;

¹⁰³ იქვე, გვ.634;

¹⁰⁴ იქვე, გვ.634;

2.2.5. სერბეთის რესპუბლიკა

რესპუბლიკის სახელისუფლო სისტემა ეფუძნება ხელისუფლების საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო შტოებს შორის ხელისუფლების დანაწილებას, ხოლო სამივე შტოს შორის ურთიერთობა ემყარება ურთიერთკონტროლსა და ურთიერთბალანსს, რომელთა ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სერბეთი წარმოადგენს საპარლამენტო რესპუბლიკას. იგი იღებს კონსტიტუციას შესწორებები შეაქვს მასში, იღებს გადაწყვეტილებებს სერბეთის რესპუბლიკის საზღვრების შეცვლასთან დაკავშირებით, ნიშნავს რესპუბლიკურ რეფერენდუმს, ახდენს საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიკაციას, თუ რატიფიკაციის სავალდებულოობა დადგენილია კანონით.¹⁰⁵

ეროვნული კრება შედგება 4 წლის ვადით არჩეული 250 დეპუტატისგან, რომლებიც აირჩევიან პირდაპირი არჩევნებით, ფარული კენჭისყრით. ეროვნულ რებაში კანონის შესაბამისად უზრუნველყოფილია სხვადასხვა სქესისა და ეროვნული უმცირესობების წევრთა წარმომადგენლობა და თანასწორობა.¹⁰⁶

დეპუტატს იცავს იმუნიტეტი, არ ეკისრება სისხლისამართლებრივი ან სხვა სახის პასუხისმგებლობა თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას გამოთქმული აზრის თუ ხმის მიცემის გამო. დეპუტატი ეროვნული კრების წინასწარი თანხმობის გარეშე არ შეიძლება დაკავებულ იქნეს ან დაექვემდებაროს სისხლის სამართლის სხვა სახის სამართალწარმოებას, რომლისთვისაც თავისუფლების აღკვეთის ვადა აღემატება 5 წელს.¹⁰⁷

რაც შეეხება ეროვნული კრების დათხოვნას, ეს უფლება გააჩნია რესპუბლიკის პრეზიდენტს, თუმცა, მას ამ უფლების განხორციელება შეუძლია მხოლოდ მთავრობის დასაბუთებული ინიციატივის საფუძველზე. ასევე იმ

¹⁰⁵ კავშირი „იურისტები სამართლებრივი სახელმწიფოსთვის“, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, შემდგენელთა ჯგუფის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი: გონაშვილი ვ. ნაწილი მეხუთე. 2007წ. გვ. 758;

¹⁰⁶ იქვე, გვ.758;

¹⁰⁷ იქვე, გვ.759;

შემთხვევაში თუ ეროვნული კრება ფორმირებიდან 90 დღის განმავლობაში ვერ აირჩევს მთავრობას.¹⁰⁸

კონსტიტუცია ითვალისწინებს რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობას, რომელსაც მოკრძალებული სერბეთის რესპუბლიკის ერთიანობის სიმბოლოს სტატუსი გააჩნია. იგი ახორციელებს სახელმწიფოს მეთაურის უფლებამოსილებას: წარმოადგენს რესპუბლიკას ქვეყანაში და მის საზღვრებს გარეთ, აქვეყნებს კანონებს, მთავრობის წარდგინების საფუძველზე ნიშნავს და ათავისუფლებს სერბეთის რესპუბლიკის ელჩებს, იღებს უცხოელი დიპლომატიური წარმომადგენლების რწმუნებისა და გამოწვევის სიგელებს, ახდენს შეწყალებას და გადასცემს ჯილდოებს, მეთაურობს არმიას და ნიშნავს, აწინაურებს და ათავისუფლებს სერბეთის არმიის ოფიცრებს. პრეზიდენტს გააჩნია კანონზე ვეტოს უფლება, რაც ეროვნულმა კრებამ უნდა გადალახოს დეპუტატთა საერთო რაოდენობის უმრავლესობით.¹⁰⁹

პრეზიდენტი აირჩევა 5 წლის ვადით. მის არჩევნებს, კონსტიტუციით განსაზღვრულ ვადებში, ნიშნავს ეროვნული კრების თავმჯდომარე. პრეზიდენტად პირი შეიძლება აირჩეს მხოლოდ ორჯერ. პრეზიდენტი არ შეიძლება ასრულებდეს სხვა სახელმწიფო ან პროფესიულ საქმიანობას. მისი უფლებამოსილება წყდება უფლებამოსილების ვადის ამოწურვის, გადადგომის ან თანამდებობიდან გადაყენების შემთხვევებში. პრეზიდენტი შეიძლება გადაყენებულ იქნეს თანამდებობიდან კონსტიტუციის დარღვევისას. აღნიშნულის თაობაზე საკითხი აღიძვრება ეროვნული კრების მიერ დეპუტატთა ხმების არანაკლებ 2/3-ით. ამის შემდეგ აუცილებელია საკონსტიტუციო სასამართლომ დაადასტუროს კონსტიტუციის დარღვევის ფაქტი, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ეროვნული კრება 2/3-ის უმრავლესობით.¹¹⁰

¹⁰⁸ კავშირი „იურისტები სამართლებრივი სახელმწიფოსთვის“, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, შემდგენელთა ჯგუფის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი: გონაშვილი ვ. ნაწილი მეხუთე. 2007წ. გვ. 759;

¹⁰⁹ იქვე, გვ.759-760;

¹¹⁰ იქვე, გვ.760;

ყურადღებას იქცევს პრეზიდენტის შეზღუდული იმუნიტეტის საკითხი. იგი სარგებლობს დეპუტატების მსგავსი ხელშეუხებლობით, რომლის მოხსნის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ეროვნული კრება.¹¹¹

გამომდინარე იქიდან, რომ კონსტიტუცია მხოლოდ ზოგადად განსაზღვრავს პრეზიდენტის უფლებებთან, ვალდებულებებთან, პასუხისმგებლობასთან და მისი სტატუსთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს, კონსტიტუციაში აღნიშნულია, რომ უნდა იქნეს მიღებული კანონი რესპუბლიკის პრეზიდენტის შესახებ.¹¹²

¹¹¹ კავშირი „იურისტები სამართლებრივი სახელმწიფოსთვის“, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, შემდგენელთა ჯგუფის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი: გონაშვილი ვ. ნაწილი მეხუთე. 2007წ. გვ. 760;

¹¹² იქვე, გვ.760;

2.2.6. სლოვაკეთის რესპუბლიკა

სლოვაკეთი არის საპარლამენტი რესპუბლიკა, რომლის საკანონდებლო ორგანოა სლოვაკეთის რესპუბლიკის ეროვნული საბჭო, რომელიც შედგება 4 წლის ვადით არჩეული 150 დეპუტატისგან. დეპუტატები აირჩევიან საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ არჩევნებში, ფარული კენჭისყრით, ხოლო დეპუტატად შეიძლება აირჩეს საარჩევნო ხმის უფლების მქონე 21 წლის ასაკს მიღწეული მოქალაქე, რომელიც მუდმივად ცხოვრობს სლოვაკეთის ტერიტორიაზე.¹¹³

სლოვაკეთის რესპუბლიკის მეთაურია პრეზიდენტი, რომელიც აირჩევა პირდაპირი არჩევნებით, ფარული კენჭისყრით 5 წლის ვადით. პრეზიდენტის არჩევის უფლება აქვთ მოქალაქეებს, რომლებიც სარგებლობენ ეროვნული საბჭოს დეპუტატების არჩევის უფლებით. პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს სლოვაკეთის საარჩევნო ხმის უფლების მქონდე 35 წლის ასაკს მიღწეული მოქალაქე. ერთი და იგივე პირი პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს ორი ვადით.¹¹⁴

პრეზიდენტის კანდიდატის შესახებ წინადადება შეიტანება ეროვნული საბჭოს არანაკლებ 15 დეპუტატის ან ეროვნული საბჭოს დეპუტატების არჩევის უფლების მქონდე მოქალაქეების მიერ, პეტიცის საფუძველზე, რომელიც ხელმოწერილია არანაკლებ 15 ათასი მოქალაქის მიერ.¹¹⁵

პრეზიდენტად აირჩევა ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს ამომრჩეველთა ნამდვილი ხმების უმრავლესობას. კონსტიტუციაში დეტალურად არის გაწერილი ყველა ის პროცედურა, თუ სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ აირჩა პრეზიდენტი.¹¹⁶

პრეზიდენტი ახორციელებს შემდეგ ძირითად უფლებამოსილებას: წარმოადგენს რესპუბლიკას ქვეყნის გარეთ, დებს და ახდენს საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიცირებას. საერთაშორისო ხელშეკრულებების დადება

¹¹³ კავშირი „იურისტები სამართლებრივი სახელმწიფოსთვის“, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, შემდგენელთა ჯგუფის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი: გონაშვილი ვ. ნაწილი მეხუთე. 2008წ. გვ. 849-850;

¹¹⁴ იქვე, გვ.852;

¹¹⁵ იქვე, გვ.852;

¹¹⁶ იქვე, გვ.852;

მას შეუძლია დააკისროს მთავრობას ან მთავრობის თანხმობით მის ცალკეულ წევრებს; ნიშნავს და ათავისუფლებს სლოვაკეთის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარესა და წევრებს, უფლებამოსილებას ანიჭებს მათ უხელმძღვანელონ სამინისტროებს და იღებს მათი გადადგომის შესახებ გადაწყვეტილებებს, აგრეთვე გამოიწვევს მათ; ანიჭებს ჯილდოებს თუ ამაზე სხვა ორგანო არ არის უფლებამოსილი; ინდივიდუალური შეწყალების ან ამნისტიის ფორმით ათავისუფლებს სასამართლოების მიერ სისხლის-სამართალწარმოებაში დანიშნული სასჯელისაგან ან ამსუბუქებს სასჯელს, ხსნის ნასამართლეობას; არის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი; ნიშნავს რეფერენდუმს; ეროვნულ საბჭოს წარუდგენს მოხსენებას რესპუბლიკის მდგომარეობის შესახებ და მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხებზე: ნიშნავს და გამოიწვევს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებს, თავმჯდომარესა და თავმჯდომარის მოადგილეს; ნიშნავს და გამოიწვევს მოსამართლეებს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და თავმჯდომარის მოადგილეს, გენერალურ პროკურორს და სლოვაკეთის რესპუბლიკის სასამართლო საბჭოს სამ წევრს.¹¹⁷

პრეზიდენტის გადაწყვეტილება, რომელიც ეხება დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელების მიღებას, დანიშვნას ან გამოწვევას, ამნისტიის გამოცხადებას, ასევე თუ იგი მიღებულია პრეზიდენტის, როგორც უმაღლესი მთავარსარდლის უფლებამოსილების ფარგლებში, ნამდვილად ითვლება, თუ მას ხელს მოაწერს მთავრობის თავმჯდომარე ან მის მიერ უფლებამოსილი მინისტრი; ასეთ შემთხვევებში პრეზიდენტის გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებელია მთავრობა.¹¹⁸

პრეზიდენტი უფლებამოსილია დაითხოვოს ეროვნული საბჭო, თუ ეს უკანასკნელი მთავრობის დანიშვნიდან 6 თვის განმავლობაში არ მოიწონებს მის პროგრამულ განცხადებას; ან თუ 3 თვის განმავლობაში არ მიიღებს მთავრობის კანონპროექტს, რომელსაც მთავრობა უკავშირებს ნდობის გამოცხადებას; თუ 3 თვეზე მეტი ვადით არ იქნება გადაწყვეტილება უნარიანი, თუმცა მისი სხდომა

¹¹⁷ კავშირი „იურისტები სამართლებრივი სახელმწიფოსთვის“, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, შემდგენელთა ჯგუფის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი: გონაშვილი ვ. ნაწილი მეხუთე. 2008წ. გვ. 852-853;

¹¹⁸ იქვე, გვ.853;

შეწყვეტილი არ ყოფილა და ამ დროის განმავლობაში ხელმეორედ იქნა მოწვეული სხდომაზე; ანდა თუ მისი სესია უფრო ხანგრძლივი დროით იყო შეწყვეტილი, ვიდრე ამას კონსტიტუცია უშვებს. ამ უფლების გამოყენება პრეზიდენტს არ შეუძლია თავისი უფლებამოსილების ბოლო 6 თვის განმავლობაში, ასევე ომის, საომარი ან საგანგებო მდგომარეობის პერიოდში. პრეზიდენტი ეროვნულ საბჭოს დაითხოვს იმ შემთხვევაშიც, თუ პრეზიდენტის გამოწვევის შესახებ სახალხო კენჭისყრის შედეგად იგი არ იქნა გამოწვეული.¹¹⁹

პრეზიდენტი შეიძლება თანამდებობიდან გადადგეს ნებისმიერ დროს, მისი უფლებამოსილების ვადა წყდება საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარისასთვის წერილობითი განცხადების გადაცემის დღეს. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე წერილობითი ფორმით ატყობინებს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარეს პრეზიდენტის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ.¹²⁰

თუ პრეზიდენტი ვერ იქნა არჩეული, თუ მისი თანამდებობა თავისუფალია და ახალი პრეზიდენტი ჯერ არ არის არჩეული ანდა, თუ ახალი პრეზიდენტი არჩეულია, თუმცა ჯერ არ აქვს ფიცი დადებული, ან პრეზიდენტს თავისი ფუნქციის შესრულება არ შეუძლია მნიშვნელოვანი მიზეზების გამო, მისი უფლებამოსილების ნაწილის შესრულების ვალდებულება ეკისრება მთავრობას, რომელსაც უფლება აქვს ამ პერიოდში მთავრობის თავმჯდომარეს მიანიჭოს პრეზიდენტის ზოგიერთი ფუნქციის შესრულების უფლებამოსილება, რაც მოიცავს საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირების უფლებამოსილებას, აგრეთვე მისი კონსტიტუციასთან ან კონსტიტუციურ კანონთან შესაბამისობის დადგენის მიზნით საკონსტიტუციო სასამართლოში წინადადების შეტანის უფლება, ასევე დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელების მიღებას, დანიშვნას და გამოწვევას, რეფერენდუმის დანიშვნას, ეროვნულ საბჭოში თავისი შენიშვნებით კანონის დაბრუნებას, ხოლო განსაზღვრული ფუნქციების ნაწილი ეკისრება ეროვნული საბჭოს თავმჯდომარეს, მათ შორის ისეთი ფუნქციების

¹¹⁹ კავშირი „იურისტები სამართლებრივი სახელმწიფოსთვის“, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, შემდგენელთა ჯგუფის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი: გონაშვილი ვ. ნაწილი მეხუთე. 2008წ. გვ. 853;

¹²⁰ იქვე, გვ.853;

განხორციელება, როგორცაა ეროვნული საბჭოს სადამფუძნებლო სხდომის მოწვევა, მთავრობის თავმჯდომარისა და წევრების დანიშვნა და გათავისუფლება, ომის, საომარი ან საგანგებო მდგომარეობის განცხადება, შეიარაღებული ძალების მობილიზაციის შესახებ ბრძანების გაცემა, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა და სხვა მოსამართლეთა დანიშვნა და სხვა. ამ პერიოდში მთავრობის თავმჯდომარეს ეკისრება შეიარაღებული ძალების მთავარსარდლობა.¹²¹

სლოვაკეთის კონსტიტუცია ითვალისწინებს მსოფლიო კონსტიტუციონალიზმისათვის იშვიათ ნორმას, რაც გულისხმობს პრეზიდენტის ვადამდე ადრე გამოწვევას ხალხის მიერ. პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე შეიძლება გამოწვეულ იქნეს თანამდებობიდან პლებისციტის შედეგად, რომელიც ინიშნება ეროვნული საბჭოს დეპუტატთა საერთო რაოდენობის ხმათა 3/5-ის მხარდაჭერით. პრეზიდენტი გამოწვეულად ითვლება, თუ პლებისციტზე მის გამოწვევას მხარს დაუჭერს ამომრჩეველთა უმრავლესობა. თუ პრეზიდენტი ვერ იქნა პლებისციტის შედეგად გამოწვეული, პლებისციტის შედეგების გამოცხადებიდან 30 დღის ვადაში იგი დაითხოვს ეროვნულ საბჭოს. ასეთ შემთხვევაში იწყება ახალი პრეზიდენტის ახალი საარჩევნო ვადა. ეროვნული საბჭო არჩევნებს ნიშნავს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე მისი დათხოვნიდან 7 დღის ვადაში.¹²²

გამოწვევასთან ერთად კონსტიტუცია ითვალისწინებს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას იმპიჩმენტის საფუძველზეც. მის მიმართ დევნა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ კონსტიტუციის განზრახ დარღვევის ან სამშობლოს დალაცისათვის. გაწყვეტილებას პრეზიდენტის მიმართ დევნის დაწყების შესახებ იღებს ეროვნული საბჭო დეპუტატთა საერთო რაოდენობის ხმათა 3/5-ით. ეროვნულ საბჭოს ბრალდება შეაქვს საკონსტიტუციო სასამართლოში, რომელიც მასზე გადაწყვეტილებას იღებს პლენუმის სხდომაზე. საკონსტიტუციო სასამართლოს გამამტყუნებელი გადაწყვეტილება ნიშნავს

¹²¹ კავშირი „იურისტები სამართლებრივი სახელმწიფოსთვის“, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, შემდგენელთა ჯგუფის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი: გონაშვილი ვ. ნაწილი მეხუთე. 2008წ. გვ. 853-854;

¹²² იქვე, გვ.854;

პრეზიდენტის მიერ თავისი თანამდებობის დაკარგვასა და მისი კვლავ აღდგენის
შეუძლებლობას.¹²³

¹²³ კავშირი „იურისტები სამართლებრივი სახელმწიფოსთვის“, საზღვარგარეთის ქვეყნების
კონსტიტუციები, შემდგენელთა ჯგუფის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი:
გონაშვილი ვ. ნაწილი მეხუთე. 2008წ. გვ. 854;

2.2.7. ირლანდიის რესპუბლიკა

ირლანდიის კონსტიტუციის მიხედვით ირლანდია საპარლამენტო რესპუბლიკის მმართველობის ფორმების მქონე სახელმწიფოა და ამდენად ირლანდიის პრეზიდენტი მართალია სახელმწიფოს მეთაური და უმაღლესი მთავარსარდალია, მაგრამ არც თუ ისე ფართო უფლებამოსილებებით არის აღჭურვილი. იგი აირჩევა პირდაპირი არჩევნებით 7 წლის ვადით და მისი ხელმეორედ არჩევა დაიშვება მხოლოდ ერთხელ. აღსანიშნავია, რომ საპარლამენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტის პირდაპირი არჩევნები თავისებურად უნდა ჩაითვალოს, რადგან საპარლამენტო რესპუბლიკის კლასიკური მოდელის პირობებში პრეზიდენტი, როგორც წესი, არაპირდაპირ აირჩევა.¹²⁴ ევროპის უმეტეს სახელმწიფოებში, სადაც არსებობს მმართველობის საპარლამენტო ფორმა, გავრცელებულია პრეზიდენტის არაპირდაპირი გზით არჩევის წესი.

პრეზიდენტის თანამდებობა შეუთავსებელია სხვა ნებუსმიერ თანამდებობასთან ან ანაზღაურებად საქმიანობასთან.¹²⁵

ირლანდიის კონსტიტუციით აგათვალისწინებული იმპიჩმენტის პროცედურაც ასევე საკმაოდ თავისებურია იმ თვალსაზრისით, რომ საკითხის ინიცირება და მასზე გადაწყვეტილების მიღება ხდება პარლამენტის ფარგლებში ხელისუფლების სხვა შტოების, განსაკუთრებით სასამართლო ორგანოების ჩაურევლად. დადგენილი სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების საკითხის დაყენების უფლება აქვს პარლამენტის რომელიმე პალატის არანაკლებ ოცდაათ წევრს, პროცედურა დაწყებულად ჩაითვლება, თუ ამას მხარს დაუჭერს პალატის წევრთა არანაკლებ 2/3. ამგვარი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ საქმე გამოსაძიებლად გადაეცემა მეორე პალატას. თუ მეორე პალატა გამოძიების შემდეგ მიიღებს წევრთა 2/3-ით მიიღებს დადგენილებას, რომლითაც დადასტურდება პრეზიდენტის მიერ სამართალდარღვევის ჩადენა და მიჩნეული იქნება, რომ ეს ფაქტი ხელს შეუშლის

¹²⁴ კავშირი „იურისტები სამართლებრივი სახელმწიფოსთვის“, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, შემდგენელთა ჯგუფის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი: გონაშვილი ვ. ნაწილი მეხუთე. 2008წ. გვ. 246;

¹²⁵ იქვე, გვ.246;

პრეზიდენტის მიერ უფლება-მოვალეობათა აღსრულებას, პრეზიდენტი გადაყენებულად ჩაითვლება.¹²⁶ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აქაც საკმაო განსხვავებაა სხვა ევროპული სახელმწიფოების კანონმდებლობებთან.

რაც შეეხება პრეზიდენტის კომპეტენციებს, ისინი მოიცავს პარლამენტის ქვედა პალატის დათხოვნასა და მისი არჩევნების დანიშვნას, მთვრობის გადაყენებას, მთავრობის ცალკეული წევრების გადაყენებას, მოსამართლეთა დანიშვნას, ომბუდსმენის დანიშვნას, გენერალური ატორნის დანიშვნასა და გადაყენებას, უმაღლესი მთავარსარდალის ფუნქციათა განხორციელებას, კანონების ხელმოწერასა და „პრომულგირებას“¹²⁷ შეზღუდული ვეტოს პირობებით და ა.შ. თუმცა, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ ირლანდიის პრეზიდენტი მოკლებულია ამ უფლებამოსილებათა უმეტესობის დამოუკიდებლად განხორციელების შესაძლებლობას და მათ ძირითადად პრემიერ-მინისტრის ან მთავრობის ინიციატივის ან თანხმობის საფუძველზე ასრულებს. რაც შეეხება უმაღლეს მთავარსარდალობას, ეს სფერო პარლამენტის მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ არის მოქცეული იმის გათვალისწინებით, რომ შეიარაღებული ძალების შეკრებასა და შენახვაზე გადაწყვეტილების მიღება მის უფლებამოსილებებში შედის. პრეზიდენტი დამოუკიდებლად მოქმედებს კანონების ხელმოწერისა და პრომულგირების დროს, თუმცა ამ დროსაც სავალდებულოა სახელმწიფო საბჭოსთან მოთათბირება. პრეზიდენტის მიერ უფლება-მოვალეობათა შესრულების შეუძლებლობის კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევაში მას ცვლის კოლეგიური ორგანო სპეციალური საბჭო, რომელიც შედგება პარლამენტის პალატების თავმჯდომარეებისა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისგან. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ეს ორგანო არ არის შეზღუდული რაიმე დათქმით და ახორციელებს პრეზიდენტის ყველა უფლებას.¹²⁸

¹²⁶ კავშირი „იურისტები სამართლებრივი სახელმწიფოსთვის“, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, შემდგენელთა ჯგუფის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი: გონაშვილი ვ. ნაწილი მეხუთე. 2008წ. გვ. 246;

¹²⁷ <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=21451> რაიმე კანონის ოფიციალური გამოქვეყნება, განსაჯაროება;

¹²⁸ იქვე, გვ.246-247;

2.2.8. ესტონეთის რესპუბლიკა

რესპუბლიკის პრეზიდენტი არის ესტონეთის სახელმწიფოს მეთაური. იგი წარმოადგენს სახელმწიფოს საეთაშორისო ურთიერთობებში; მთავრობის წინადადებით ნიშნავს და გამოიწვევს დიპლომატიურ წარმომადგენლებს, იღებს სიგელებს; ნიშნავს კანდიდატს პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე; თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მთავრობის წევრებს; სახელმწიფო კრებაში შედის წინადადებით სახელმწიფო სასამართლოს თავმჯდომარის, ესტონეთის ბანკის საბჭოს თავმჯდომარის, სახელმწიფო კონტროლიორის, იუსტიციის კანცლერის და თავდაცვის ძალების სარდლის ან მთავარსარდლის დანიშვნასთან დაკავშირებით; ესტონეთის ბანკის საბჭოს წინადადებით ნიშნავს ესტონეთის ბანკის პრეზიდენტს; მთავრობისა და თავდაცვის ძალების სარდლის წინადადებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს თავდაცვის ძალების სარდლობას; ხელმძღვანელობს ესტონეთის სახელმწიფო თავდაცვას და სხვ.¹²⁹ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ნათლად ვხედავთ, რომ ესტონეთის პრეზიდენტი მიუხედავად იმისა, რომ ესტონეთში მმართველობითი ფორმა საპარლამენტოა, საკმაოდ ფართო უფლებებით სარგებლობს.

პრეზიდენტის თანამდებობაზე შეიძლება წარდგენილი იქნეს არანაკლებ 40 წლის ასაკს მიღწეული დაბადებით ესტონეთის მოქალაქე. პრეზიდენტი აირჩევა 5 წლის ვადით. ერთი და იგივე პირი არ შეიძლება აირჩეს ზედიზედ ორ ვადაზე მეტჯერ. მას ირჩევს სახელმწიფო კრება წევრთა 2/3-ის უმრავლესობით. პრეზიდენტის კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვს სახელმწიფო კრების წევრთა არანაკლებ 1/5-ს. თუ ვერც ერთი კანდიდატი ვერ მიიღებს ხმათა სასურველ რაოდენობას, ტარდება კენჭისყრის მეორე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, მესამე ტურიც. საკითხის სწრაფად გადაწყვეტის მიზნით ეს ტურები ტარდება მეორე დღეს. თუ აღნიშნულ ტურებშიც ვერ აირჩა პრეზიდენტი, ესტონეთის კანონმდებლობა ითვალისწინებს ორიგინალურ

¹²⁹ კავშირი „იურისტები სამართლებრივი სახელმწიფოსთვის“, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, შემდგენელთა ჯგუფის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი: გონაშვილი ვ. ნაწილი მე-3, 2006წ. გვ 234;

ფორმას - სახელმწიფო კრების თავმჯდომარე პრეზიდენტის ასარჩევად ერთთვიან ვადაში იწვევს ამომრჩეველთა კოლეგიას, რომლებიც შედგება სახელმწიფო კრების წევრების, ადგილობრივი თვითმმართველობის საბჭოების თავმჯდომარეებისა და საბჭოების მიერ არჩეული არანაკლებ თითო წარმომადგენლისაგან. კოლეგია პრეზიდენტს ირჩევს ხმათა უმრავლესობით პრეზიდენტობის იმ ორი კანდიდატიდან, რომლებმაც სახელმწიფო კრებაში ყველაზე მეტი ხმა მიიღეს. პრეზიდენტის თანამდებობაზე კანდიდატის წარდგენის უფლება უკიდურეს შემთხვევაში აქვს ამომრჩეველთა კოლეგიის 21 წევრს. თუ პირველ ტურში კანდიდატი ვერ აირჩევა, იმავე დღეს ტარდება მეორე ტური იმ ორ კანდიდატს შორის, რომლებმაც მეტი ხმა მიიღეს. პრეზიდენტის არჩევის ამგვარი წარმომადგენლობითი და ოპერატიული მექანიზმი წარმოადგენს პოლიტიკური კრიზისის თავიდან აცილების უმნიშვნელოვანეს გარანტს.¹³⁰

პრეზიდენტს თანამდებობის დაკავებისას უწყდება ყველა უფლება სხვა ასარჩევ თუ დასანიშნ თანამდებობებზე, ასევე ჩერდება მისი პოლიტიკური პარტიის წევრობაც.¹³¹ პრეზიდენტი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცემა მხოლოდ იუსტიციის კანცლერის წარდგინებით სახელმწიფო კრების სრული შემადგენლობის უმრავლესობის თანმხობით, თუმცა, კონსტიტუცია პასუხისგებაში მიცემის საკითხს არ ითვალისწინებს, რაც ჩემი აზრით ხარვეზია და საჭიროებს გამოსწორებას.¹³²

¹³⁰ კავშირი „იურისტები სამართლებრივი სახელმწიფოსთვის“, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, შემდგენელთა ჯგუფის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი: გონაშვილი ვ. ნაწილი მე-3, 2006წ. გვ 234-235.

¹³¹ იქვე, გვ.235;

¹³² იქვე, გვ.235;

2.2.9. უნგრეთის რესპუბლიკა

უნგრეთის პრეზიდენტი სახელმწიფოს მეთაური და დემოკრატიის დაცვის გარანტია. იგი შეიარაღებულ ძალთა უმაღლესი მთავარსარდალია და რიგ შემთხვევებში სამხედრო ძალების პარლამენტის თანხმობის გარეშე გამოყენებაც შეუძლია. პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნეს 35 წლის უნგრელი მოქალაქე 5 წლის ვადით, ორ ვადაზე მეტჯერ არჩევის აკრძალვით. პრეზიდენტი თანამდებობაზე აირჩევა პარლამენტის მიერ ფარული კენჭისყრით პარლამენტის წევრთა საერთო რაოდენობის ხმების 2/3-ის უმრავლესობით ან, არჩევნების მესამე ტურის გამართვის შემთხვევაში ხმათა უბრალო უმრავლესობით. მისი თანამდებობა შეუთავსებელია სხვა თანამდებობასთან ან მანდატთან, იგი ხელშეუხებელია. რესპუბლიკის პრეზიდენტი უფლებამოსილია წარმოადგინოს უნგრეთი საერთაშორისო ურთიერთობებში, დადოს ხელშეკრულებები, დანიშნოს გარკვეული თანამდებობის პირები და დიპლომატიური პერსონალი, მიანიჭოს საპატიო წოდებები და განახორციელოს სპეციალური კანონით მინიჭებული სხვა უფლებები. მათ შორის საგანგებო მდგომარეობის დროს გაატაროს სპეციალური ღონისძიებები. მის განსაკუთრებულ უფლებამოსილებაშია სახელმწიფო მდივნების დანიშვნის უფლებაც. საპარლამენტო რესპუბლიკისათვის დამახასიათებელი მოდელის მიხედვით, რესპუბლიკის პრეზიდენტის ყველა მნიშვნელოვანი აქტი საჭიროებს პრემიერ-მინისტრის მიერ ხელმოწერით დადასტურებას. პრეზიდენტის მიერ მოვალეობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში, მის მოვალეობას შეზღუდული უფლებამოსილებებითა და ვეტოს უფლების გარეშე ასრულებს პარლამენტის სპიკერი.¹³³ როგორც ვხედავთ თანახელმოწერის ინსტიტუტი უნგრეთშიც არსებობს მსგავსად ჩვენი ქვეყნისა იქაც პრეზიდენტის გადაწყვეტილება საჭიროებს პრემიერ-მინისტრის თანახელმოწერას, რაც დამახასიათებელია საპარლამენტო რესპუბლიკებისათვის.

¹³³ კავშირი „იურისტები სამართლებრივი სახელმწიფოსთვის“, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, შემდგენელთა ჯგუფის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი: გონაშვილი ვ. ნაწილი მე-3, 2006წ. გვ 692-693;

უნგრეთის კონსტიტუცია იცნობს პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების მექანიზმს. იმპიჩმენტის პროცედურის თავისებურება ის არის, რომ ამ პროცესს იწყებს პარლამენტი და ამთავრებს საკონსტიტუციო სასამართლო. პარლამენტის წევრთა 1/5 უფლებამოსილია მოახდინოს საკითხის ინიცირება. გადაწყვეტილებას იმპიჩმენტის პროცედურისათვის მსვლელობის მიცემისა და საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის შესახებ იღებს პარლამენტის წევრთა საერთო რაოდენობის 2/3-ის უმრავლესობით. მისთვის მიმართვის შემდეგ პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების გადაწყვეტილებას იღებს საკონსტიტუციო სასამართლო. იმ შემთხვევაში თუ პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენება მოხდება სისხლის სამართლის დანაშაულის გამო საკონსტიტუციო სასამართლო საქმეს განიხილავს სისხლის სამართალწარმოების წესით, პროცესზე ბრალდების მხარეს წარმოადგენს პარლამენტის წევრთაგან დანიშნული სპეციალური პროკურორი.¹³⁴

¹³⁴ კავშირი „იურისტები სამართლებრივი სახელმწიფოსთვის“, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, შემდგენელთა ჯგუფის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი: გონაშვილი ვ. ნაწილი მე-3, 2006წ. გვ 693;

2.2.10. ხორვატიის რესპუბლიკა

ხორვატიის რესპუბლიკის პრეზიდენტს გააჩნია მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურის უფლებამოსილება. იგი წარმოადგენს და იცავს ხორვატიის რესპუბლიკას ქვეყანაში და საზღვარგარეთ. პასუხისმგებელია ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვაზე. ზრუნავს მთავრობის რეგურალურ და ჰარმონიულ ფუნქციონირებასა და სტაბილურობაზე.¹³⁵ თვალსაჩინოა ის ფაქტი, რომ პრეზიდენტი პასუხისმგებელია ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვაზე, რასაც სხვა არც ერთი ევროპული სახელმწიფოს კონსტიტუციაში ვერ ვნახავთ.

იგი აირჩევა უშუალოდ ხალხის მიერ, საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, 5 წლის ვადით. პრეზიდენტად არჩევა ნებადართულია მხოლოდ ორჯერ. თანამდებობიდან მისი ადრე შესაძლებელია მის მიერ კონსტიტუციის დარღვევისათვის. იმპიჩმენტის პროცედურა აღიძვრება „საბორის“¹³⁶ მიერ წევრთა საერთო რაოდენობის ხმათა 2/3-ით, ხოლო საკითხს წყვეტს საკონსტიტუციო სასამართლო მოსამართლეთა ხმების 2/3-ის უმრავლესობით.¹³⁷

პრეზიდენტს გააჩნია შეზღუდული იმუნიტეტი. საკონსტიტუციო სასამართლოს წინასწარი თანხმობით შესაძლებელია მისი დაკავება ან სისხლის სამართლის პასუხიგებაში მიცემა. ამასთან, გათვალისწინებულია საკონსტიტუციო სასამართლოს თანხმობის გარეშე დაკავებაც, თუ წაასწრებენ ისეთი დანაშაულის ჩადენის ადგილზე, რომლისთვისაც გათვალისწინებულია 5 წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთა. ამ შემთხვევაში სახელმწიფო

¹³⁵ კავშირი „იურისტები სამართლებრივი სახელმწიფოსთვის“, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, შემდგენელთა ჯგუფის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი: გონაშვილი ვ. ნაწილი მე-3, 2006წ. გვ 812;

¹³⁶ https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98 ხორვატიის პარლამენტი;

¹³⁷ იქვე, გვ.812;

ორგანო, რომელმაც დააკავა პრეზიდენტი დაუყოვნებლივ აცნობებს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს.¹³⁸

გარკვეულ უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ ფუნქციებს პრეზიდენტი და მთავრობა ერთობლივად ახორციელებენ, რაც მართალია ასუსტებს პრეზიდენტის უფლებამოსილებას, მაგრამ, პირიქით, მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს პრემიერ-მინისტრსა და მის გუნდს. პრეზიდენტი და მთავრობა ერთობლივად ახორციელებენ საგარეო პოლიტიკის ფორმირებასა და აღსრულებას. საზღვარგარეთ ხორვატიის დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულოების შექმნის საკითხს პრეზიდენტი წყვეტს მთავრობის წინადადებითა და პრემიერ-მინისტრის თანახელმოწერით, ნიშნავს და ათავისუფლებს ხორვატიის რესპუბლიკის დიპლომატიურ წარმომადგენლებს; საერთაშორისო შეთანხმებებს თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში დებს საბორი, პრეზიდენტი და მთავრობა. პრეზიდენტი და მთავრობა თანამშრომლობენ უშიშროების სამსახურის მართვაშიც. უშიშროების სამსახურების ხელმძღვანელთა დანიშვნას, საბორის უფლებამოსილი კომიტეტის წინასწარი თანხმობით, ახორციელებენ პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი; პრეზიდენტი საბორს ითხოვს საპარამენტო კლუბებთან კონსულტაციების შემდეგ, მთავრობის წინადადებითა და პრემიერ მინისტრის თანახელმოწერით.¹³⁹

ხორვატიის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალია პრეზიდენტი, რომელიც ნიშნავს და ათავისუფლებს შეიარაღებული ძალების შემადგენლობას, საბორის გადაწყვეტილების საფუძველზე აცხადებს ომს და მშვიდობას, ხოლო თუ საომარი მდომარეობა არ არის გამოცხადებული და უშუალო საფრთხე ემუქრება სახელმწიფოს დამოუკიდებლობას, ერთიანობასა და არსებობას შეიარაღებული ძალების გამოყენების ბრძანება შეუძლია გასცეს პრემიერ-მინისტრის თანახელმოწერით. ასევე კანონის ძალის მქონე დეკრეტის გამოცემა მას შეუძლია პრემიერ-მინისტრის წინადადებითა და თანახელმოწერით, თუ ქვეყანაში შექნილი მდგომარეობის გამო საბორის შეკრება

¹³⁸ კავშირი „იურისტები სამართლებრივი სახელმწიფოსთვის“, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, შემდგენელთა ჯგუფის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი: გონაშვილი ვ. ნაწილი მე-3, 2006წ. გვ 812;

¹³⁹ იქვე, გვ 814;

შეუძლებელია. ეს დეკრეტი დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს საბორს, როგორც კი იგი შეიკრიბება.¹⁴⁰ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საკმაოდ მკაფიოდაა ხორვატიის მთავარ კანონმდებლობაში საგანგებო მდგომარეობის დრო განსაზღვრული წესები.

¹⁴⁰ კავშირი „იურისტები სამართლებრივი სახელმწიფოსთვის“, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, შემდგენელთა ჯგუფის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი რედაქტორი: გონაშვილი ვ. ნაწილი მე-3, 2006წ. გვ 814;

2.2.11. პრეზიდენტის ინსტიტუტი ევროპულ სახელმწიფოებში:

შედარებითი ანალიზი

ევროპული სახელმწიფოების პრეზიდენტის ინსტიტუტისადმი არსებულ კანონმდებლობებზე საუბრის შემდეგ თვისუფლად შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ევროპული დემოკრატიის პირობებში პრეზიდენტის როლი არის სუსტი, ცერემონიალური და სიმბოლური. ჩემი აზრით ამის ძირითადი მიზეზი გახლავთ ის, რომ ევროპულ სახელმწიფოებს რთული პოლიტიკური წარსული აქვთ. ხშირი იყო, როდესაც ქარიზმატი ლიდერების მმართველობა იწვევდა პოლიტიკურ ძალადობას, დრამატულ კონფლიქტებს და დიდ სოციალურ კატასტროფებს. გამომდინარე აქედან ლოგიკურია, რომ ევროპის განვითარებული სახელმწიფოები ცდილობენ შეინარჩუნონ პრეზიდენტის სუსტი როლი პოლიტიკურ ცხოვრებაში, რათა ძალაუფლება არ იყოს მოქცეული ერთი ლიდერის ხელში და შესაბამისად პოლიტიკური ცხოვრების განმსაზღვრელი იყოს ხალხი და მათ მიერ არჩეული პარტიები კონკრეტული მიზნებითა და პოლიტიკური პროგრამებით.

ასევე ხაზი უნდა გავუსვათ ჩეხეთის მაგალითს, რომელიც ცხადყოფს იმას, რომ საპარლამენტო რესპუბლიკის პირობებში პრეზიდენტის როლის გაძლიერებამ და მისმა პირდაპირი წესით არჩევამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას დემოკრატიული პოლიტიკის კულტურას და შესაძლებლობა მისცეს ცალკეულ პოლიტიკურ ლიდერებს ხალხის სახელით განამტკიცონ საკუთარი ძალაუფლება და ლობირება გაუწიონ საკუთარ პოლიტიკურ ინტერესებსა და მანიპულაციურ პოლიტიკას.

დასკვნა

ჩემს მიერ შედგენილი ნაშრომის საფუძველზე დასკვნის სახით შემიძლია ვთქვა, რომ ის საკონსტიტუციო რეფორმა რომელიც გატარდა 2018 წელს და რომლის თანახმადაც, ჩვენი სახელმწიფო გახდა საპარლამენტო რესპუბლიკა, უდავოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯია სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარებისათვის. ამასთანავე ის საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც შეეხო პრეზიდენტის ინსტიტუტს, ჩემი აზრით მისაღებია საპარლამენტო ფორმის სახელმწიფოსათვის. ნაშრომზე მუშაობისას ჩემი მიზანი გახლდათ ის, რომ გამეკეთებინა ჩვენი სახელმწიფოს პრეზიდენტის ინსტიტუტთან მიმართებაში არსებული მოქმედი კანონმდებლობის შედარება ევროპული სახელმწიფოების პრეზიდენტების ინსტიტუტებთან მიმართებაში არსებული კანონმდებლობებისთვის. საკითხზე მუშაობისას გამოიკვეთა შემდეგი დასკვნითი დებულებები:

1. საქართველოს პრეზიდენტი გახლავთ საქართველოს სახელმწიფოს მეთაური და ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდალი, რაც განსაზღვრულია კონსტიტუციით. შედარებისთვის ჩემს მიერ ზემოთ აღნიშნულ სახელმწიფოებშიც არსებული კანონმდებლობების თანახმადაც მსგავსადაა.
2. საქართველოს პრეზიდენტი აირჩევა 5 წლის ვადით, ამასთანავე ორზე მეტი ვადით პრეზიდენტის არჩევა ზედიზედ დაუშვებელია. შედარებისათვის ევროპულ სახელმწიფოებში თითქმის ყველგან პრეზიდენტის თანამდებობაზე ყოფნის დრო გახლავთ 5 წელი, მაგრამ არსებობს გამონაკლისი სახელმწიფოებიც, სადაც პრეზიდენტის თანამდებობაზე ყოფნის დრო გახლავთ 7 წელი. მაგალითად იტალია და ირლანდია. რაც შეეხება თანამდებობაზე ზედიზედ არჩევის შესაძლებლობას, ყველა ევროპულ სახელმწიფოში ორზე მეტჯერ ზედიზედ დაუშვებელია.
3. ასაკობრივი ცენზი, რომელიც არსებული საქართველოს კონსტიტუციის თანახმად განსაზღვრულია 40 წელი. აღნიშნული ასაკი

განსაზღვრავს პრეზიდენტად არჩევის შესაძლებლობას. შედარებისთვის ევროპულ სახელმწიფოებში ასაკი 35-იდან 50 წლამდე მერყეობს. იტალიაში ასაკობრივი ცენზი განსაზღვრულია 50 წელი. ხოლო ლატვიაში, ჩეხეთში და ესტონეთში 40 წელი. 35 წელია განსაზღვრული სლოვაკეთის რესპუბლიკაში და უნგრეთის რესპუბლიკაში.

4. ახალი კონსტიტუციის თანახმად საქართველოს პრეზიდენტის არჩევა განხორციელდება არაპირდაპირი გზით, 300 ხმოსანის მიერ, სადაც შედიან პარლამენტის წევრები და აჭარისა და აფხაზეთის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების ყველა წევრები. ზოგადად პრეზიდენტის არჩევა საპარლამენტო რესპუბლიკაში ხორციელდება არაპირდაპირი გზით ევროპის უმრავლეს სახელმწიფოებში, ესენია: გერმანია, იტალია, ლატვია, სერბეთი, უნგრეთი და ა.შ. ჩვენი სახელმწიფოც არ ჩამორჩება ევროპულ წამყვან სახელმწიფოებს და ახალი კანონმდებლობით პრეზიდენტის არჩევა განხორციელდება არაპირდაპირი გზით. არსებობენ გამონაკლისებიც, სადაც სახეზე გვაქვს საპარლამენტო რესპუბლიკის ფორმა და პრეზიდენტის არჩევა ხორციელდება პირდაპირი გზით, ეს სახელმწიფოებია: ჩეხეთი, სლოვაკეთი, ირლანდია და ხორვატია.
5. პრეზიდენტის უფლება-მოვალეობები საპარლამენტო რესპუბლიკაში გახლავთ საკმაოდ შეზღუდული და მას ძირითადად უფრო ფორმალური ხასიათის მქონე უფლება-მოსილებები გააჩნია. საქართველოს ახალმა კონსტიტუციამ განსაზღვრა პრეზიდენტის შეზღუდული უფლებები და მოვალეობები. საქართველოს პრეზიდენტი მთავრობის თანხმობით ახორციელებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს საგარეო ურთიერთობებში, აწარმოებს მოლაპარაკებებს სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს, იღებს სხვა სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ელჩების და სხვა დიპლომატიური წარმომადგენლების აკრედიტაციას; მთავრობის

წარდგინებით ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს ელჩებს და დიპლომატიური წარმომადგენლობების ხელმძღვანელებს¹⁴¹. ამასთანავე პრეზიდენტს გააჩნია შეწყალების უფლებაც. შედარებისთვის ევროპულ სახელმწიფოებშიც მსგავსი უფლება- მოვალეობები გააჩნიათ პრეზიდენტებს, ვინაიდან მთელი რიგი უფლებებისა მიკუთვნებული აქვს პარლამენტს და მთავრობას.

6. საქართველოს ახალ კონსტიტუციაში განისაზღვრა 53-ე მუხლით თანახელმოწერა, რაც გულისხმობს იმას, რომ პრეზიდენტის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტი საჭიროებს პრემიერ-მინისტრის თანახელმოწერას. აღნიშნული საკითხი ევროპული სახელმწიფოებისათვის არ გახლავთ უცხო. შედარებისთვის თანახელმოწერის ინსტიტუტი არსებობს თითქმის ყველა ევროპულ სახელმწიფოში, სადაც მმართველობითი ფორმა საპარლამენტოა. თანახელმოწერის ინსტიტუტი არსებობს მთელ რიგ სახელმწიფოებში, ესენია: გერმანია, იტალია, ლატვია, სლოვაკეთი, უნგრეთი და ხორვატია.

¹⁴¹ საქართველოს კონსტიტუცია 52-ე მუხლის პირველი ნაწილის ა ქვეპუნქტი 23.03.2010;

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესის შესაბამისად.

მამია რაზმაძე -----

თარიღი: 22/06/2019

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია, თბ. 2018წ.
2. დემეტრაშვილი ა. კონსტიტუციური სამართლის სახელმძღვანელო თბილისი 2005წ.
3. გეგენავას დ. რედაქტორობით გამოცემული წიგნი სახელწოდებით: შესავალი საქართველოს საკონსტიტუციო სამართალში, 2019წ.
4. ბაბევი ვ. ერფრუტი ჯ. შტაინროტერი ბ. შედარებითი სამართლის მეთოდოლოგიის გამოყენება პრაქტიკაში, პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებათა გადანაწილება საქართველოში, საფრანგეთსა და გერმანიაში, „საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა“, N8.
5. კვერენჩილაძე გ., ქართული კონსტიტუციონალიზმის ნოვაციები: პრეზიდენტისა და მთავრობის კონსტიტუციური კონსტრუქცია მიმართების თავისებურებები 2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმის ჭრილში.
6. ვენეციის კომისიის რეკომენდაციები 23.09.2017.
7. გონაშვილი ვ. კავშირი „იურისტები სამართლებრივი სახელმწოფოსთვის“, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი პირველი.
8. გონაშვილი ვ. კავშირი „იურისტები სამართლებრივი სახელმწოფოსთვის“, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი მე-3.
9. გონაშვილი ვ. კავშირი „იურისტები სამართლებრივი სახელმწოფოსთვის“, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები, ნაწილი მე-5.
10. მაცაბერიძე მ., პრეზიდენტის ინსტიტუტის საკითხი საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, თბილისი, 2011წ.

სამეცნიერო ნაშრომები:

1. ქანთარია ბ., კონსტიტუციონალიზმის ფუნდამენტური პრინციპები და მმართველობის ფორმის სამართლებრივი ბუნება პირველ ქართულ კონსტიტუციაში, თბილისი 2012.
2. ზ. ჯიბლაშვილი, სადისერტაციო კვლევა სახელწოდებით: პრეზიდენტის ინსტიტუტი საქართველოში და ევროპის ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში (შედარებითი ანალიზი).

ინტერნეტ რესურსები:

1. სტატია: ბერეკაშვილი ბ. პრეზიდენტის ინსტიტუტი საპარლამენტო სისტემის პირობებში: ევროპული დემოკრატიების შედარებითი ანალიზი (სტატია) შესავალი: დემოკრატიული მმართველობის ორი მოდელი იხ<<https://1tv.ge/analytics/prezidentis-instituti-saparlamento-sistemis-pirobebshi-evropuli-demokratiebis-shedarebiti-analizi/>>.2017წ.
2. <https://old.civil.ge/geo/article.php?id=31622> (27.09.2017).
3. <https://www.quora.com/Who-was-the-first-president-in-the-world-history>
4. <https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98>
5. <https://www.youtube.com/watch?v=sDVmvRXqX7g>